

ჯორჯია ურბან ენერჯი



ფარავანის ჰიდროელექტროგენერაციის და
ელექტროგადაცემის პროექტი

ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების
ანგარიში

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის
გეგმა

შემსრულებელი სკვ „გამა“

თბილისი, 2011

თავფურცელი

პროექტის დასახელება: ფარავანის ჰიდროელექტროგენერაციის და ელექტრო-გადაცემის პროექტი

დოკუმენტის დასახელება: დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა

შემსრულებელი: სკვ „გამა“

მომზადებულია: იანვარი 2011

პროექტის ხელმძღვანელი: ვახტანგ გვახარია ,
სკვ „გამა“ -ს პრეზიდენტი

სარჩევი


	გვერდი
გამოყენებული აბრევიატურების განმარტება	1
1 შესავალი	2
2 პროექტის აღწერა	3
3 პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები	7
4 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მიზანი	11
5 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა - ნაციონალური და საერთაშორისო ნორმები და მოთხოვნები	11
5.1. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა - ნაციონალური მოთხოვნები საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებით	12
5.2. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა - EBRD პოლიტიკა/IFC პროექტების განხორციელების სტანდარტი	14
5.3. საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონვენციები	14
6 პროექტის დაინტერესებული მხარეები	15
7 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად ჩატარებული ღონისძიებები	17
8 მომავალი კონსულტაციები	21
9 დოკუმენტაციის გამოქვეყნება	22
10 საზოგადოების ინფორმირება	23
11 რესურსები და პასუხისმგებლობა	24
12 გასაჩივრების მექანიზმი	25
13 მონიტორინგი და ანგარიშგება	27
14 საკონტაქტო ინფორმაცია საზოგადოებისთვის	28
დანართი 1. დაინტერესებულ მხარეთა სია (ჰესის და ეგხ-ს კომპონენტები)	29
დანართი 2. საზოგადოების მხრიდან გასაჩივრების ბროშურა	32
დანართი 3. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გრაფიკი	36
დანართი 4. ფარავანის ჰესი პროექტი - საჯარო განხილვის ოქმები	37
დანართი 5. ფარავანჰესი - ახალციხის ეგხ კომპონენტი - საჯარო განხილვის ოქმები	55
დანართი 6. საინფორმაციო ფურცელი - უსაფრთხოება გადამცემი ხაზის მახლობლად	66

გამოყენებული აბრევიატურების განმარტება

EBRD	European Bank for Reconstruction and Development-ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი
IFC	International Financial Corporation – საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია
EIA	Environmental Impact Assessment-გარემოზე ზემოქმედების შეფასება
ESIA	Environmental and Social Impact Assessment-ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასება
ESAP	Environmental and Social Action Plan-გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა
HSSE	Health, Safety, Security and Environment - ჯანმრთელობა, უსაფრთხოება და გარემო
MoE	Ministry of Environment Protection and Natural Resources- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო
GUE	Georgia Urban Energy- ჯორჯია ურბან ენერჯი
SEP	Stakeholder Engagement Plan-დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა
NGO	Non-governmental organization- არასამთავრობო ორგანიზაცია

1 შესავალი

შპს ჯორჯია ურბან ენერჯი (GUE) გეგმავს ჰეს-ისა და მისი ეროვნულ ენერგოქსელთან დამაკავშირებელი გადამცემი ხაზის აშენებას. პროექტი განხორციელდება სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ასპინძის, ახალციხისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში (ნახაზი 1.1.).



ნახაზი 1.1. პროექტის განხორციელების ადგილი

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, პროექტი შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოხდება მისი ბიოფიზიკურ და სოციალ-ეკონომიკურ გარემოზე (ბსგზშ) ზემოქმედების შეფასება და ექსპერტების მიერ ჩატარებული გამოკვლევების შედეგად შემუშავებული დასკვნის საფუძველზე გდბრს-ს მიერ გაცემა ნებართვა. დოკუმენტი უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ გარემოსდაცვით კანონმდებლობას. ამას გარდა, რამდენადაც კომპანიამ დაფინანსებისთვის EBRD-ს და IFC მიმართა, ანგარიში უნდა პასუხობდეს დამფინანსებლის მოთხოვნებს.

EBRD და IFC რეგულაციების შესაბამისად პროექტი მიეკუთვნება A კატეგორიას, და საჭიროებს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების (ESIA) და საზოგადოების ჩართულობის გეგმის (SEP) მომზადებას. წარმოდგენილ საზოგადოების ჩართულობის გეგმაში (SEP) მოცემულია GUE-ს მიერ დღემდე ჩატარებული და მომავლისთვის დაგეგმილი ღონისძიებები/კონსულტაციები საზოგადოების/დაინტერესებულ მხარეთა ინფორმირების და ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ბსგზშ სამ ნაწილს მოიცავს:

- გზშ ჰიდროელექტროსადგურის კომპონენტისთვის - მისი მომზადების დროს გადამცემი ხაზის მარშრუტი ჯერ დადგენილი არ იყო. გზშ წარედგინა გარემოსდაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს 2009 წლის ოქტომბერში, ნებართვა მიღებულ იქნა 2009 წლის ნოემბერში.
- გზშ გადამცემი ხაზისთვის. ანგარიში წარედგინა გარემოსდაცვის სამინისტროს 2011 წლის იანვარში

- კუმულატიური ზემოქმედების შესახებ დანართი, რომელიც მომზადდა როგორც ტექნიკური მემორანდუმი და ხელმისაწვდომია საზოგადოებისთვის SEP-თან და არატექნიკურ რეზიუმესთან (NTS) ერთად.

2 პროექტის აღწერა

GUE განზრახული აქვს ფარავნის ჰესის და გადამცემი ხაზის მშენებლობა საქართველოს მთავრობასა და კომპანიას შორის დადებული ხელშეკრულების შესაბამისად. პროექტი საფეხურებრივად განხორციელდება:

საფეხური 1 – ჰიდროელექტროსადგურის კომპონენტი

87 მვტ ჰიდროელექტროსადგური (წლიური სიმძლავრე დაახლოებით 410 გვტ/სთ) აშენდება მდ. ფარავანზე, ფარავნის ტბიდან დაახლოებით 56კმ-ის მოშორებით. ძირითად ნაგებობებში შედის 5 მ სიმაღლის და 45 km სიგრძის წყალამდების წყალსაშვიანი კაშხალი მდ. კორხისწყლის შესართავის მახლობლად (დაახლოებით 150 მ-ში კორხისწყლის ხიდიდან), 13.8 კმ სიგრძის სადაწნევო გვირაბი; დაახლოებით 1 კმ სიგრძის სადაწნევო მილსადენი; ჰეს-ის შენობა, ქვედა ბიეფის არხი და ქვესადგური.

მოეწყობა/მოწესრიგდება ხუთი მისასვლელი გზა (საერთო სიგრძით 3.5 კმ) . მათგან ორი: 1.250 კმ სიგრძის მონაკვეთი წყალამდებთან და 25 კმ ძალურ კვანძთან იქნება ახალი. სამი მონაკვეთი: 0.75 კმ გვირაბის პირველ პორტალამდე, 0.25 კმ - მეორე პორტალამდე მისასვლელი გზები და გამთანაბრებელ რეზერვუარამდე მისასვლელი გზა მოწესრიგდება. ყველა გზა გრუნტის იქნება.

პროექტი ხორციელდება სამცხე-ჯავახეთის რეგიონის ორი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე - ახალქალაქი (წყალამდები) და ასპინძა (ძალური კვანძი და ქვესადგური). უახლოესი დასახლებებია:

ნაგებობა	დასახლება	მანძილი, მ	მოსახლეობა
წყალამდები ნაგებობები	სოფ. კორხი	0.5	923
	სოფ. დილისკა	3.0	2890
	ახალქალაქი	5.0	60975
მისასვლელი გვირაბი 1	სოფ. პტენა	0.7	310
მისასვლელი გვირაბი 2	სოფ. ჩუნჩხა	0.5	359
ელექტროსადგური	სოფ. ხერთვისი	0.7	203

შენიშვნა: სოფლები კორხი და დილისკა რამდენიმე ასეული მეტრიტაა დაშორებული და მდებარეობს წყალამდების მიმართ უფრო მაღალ ნიშნულზე და უშუალოდ არ უკავშირდება წყალამდებს


კაშხლის დანიშნულებაა არა წყლის შეკავება/დაგროვება, არამედ მისთვის მიმართულების მიცემა/გადაგდება. კაშხლის მშენებლობის შემდეგ შეიქმნება 0.5ჰა წყლის სარკის მქონე რეზერვუარი, რომელიც შეაკავებს მდინარის საშუალო ხარჯის ოთხი წუთის განმავლობაში გამდინარე მოცულობას (4000მ³). მდინარიდან გადაგებული წყალი სადაწნეო გვირაბის გავლით მიეწოდება ძალურ კვანძს და ელექტროენერჯის გამომუშავების შემდეგ ჩაედინება მდ.მტკვარში ფარავნის და მტკვრის შესართავიდან დაახლოებით 1.55 კმ დაშორებით.

გვირაბის გაყვანისას გამოყენებული იქნება ბურღვა-აფეთქების მეთოდი, რაც წარმოქმნის 300,000 მ³ ოდენობის გამონამუშევარ მასალას. მისი დასაწყობება მოხდება ჩუნჩხის ბანაკის

მახლობლად. მაყარო დაცული იქნება ეროზიისგან/ჩამოვავებისგან. გვირაბის გაყვანისას წარმოქმნილი ჩამდინარე წყალი არხების მეშვეობით ჩაედინება სალექარში.

ძალური კვანძი და ქვესადგური განთავსდება მდინარეების მტკვრისა და ფარავნის შესართავიდან 1.5კმ მანძილზე. დაახლოებით 700 მ-ში სოფ.ხერთვისიდან. ტრანსფორმატორებიდან ავარიულად დაღვრული ზეთის შესაკრებად მოეწყობა შესაბამისი ტევადობის მიწისქვეშა რეზერვუარი. ტერიტორია შემოიღობება და უზრუნველყოფილი იქნება დაცვით. შერჩეული ტერიტორია მდებარეობს ვარძიის გზის მიმდებარედ.

მშენებლობა იწარმოებს 4 წლის განმავლობაში.



ნახაზი 2.1. რუკა ფარავანჭესის კაშხლის/წყალამღების, ძალური კვანძის, დასახლებული პუნქტების და გვირაბის ტრასის ჩვენებით

საფეხური 2 - გადამცემი ხაზის კომპონენტი

35კმ სიგრძის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა ჰესის ენერგოგადამცემის ქსელთან მისაერთებლად. პროექტის ეს კომპონენტი ხორციელდება სამცხე-ჯავახეთის ორ მუნიციპალიტეტში სრულდება - ასპინძასა (ჰესი/ქვესადგური, გადამცემი ხაზის დასაწყისი) და ახალციხეში (ხაზის ბოლო მონაკვეთი).

ხაზი დაიწყება ძალური კვანძიდან/ქვესადგურიდან, აივლის ფარავნისა და მტკვრის ხეობების „გამყოფ“ ქედს, გაივლის ფარავნის მარცხენა ფერდის გასწვრივ, გადაკვეთს მდ. ფარავანს, აუყვება ფარავნის ხეობის მარჯვენა ფერდს, გაივლის სოფ. საროსა და ხიზაბავრას შორის, არსებული ხაზის ვარძია-110-ის პარალელურად ასპინძამდე. აქედან

სოფ. აგარამდე იგი გაივლის 500კვ ხაზის პარალელურად. აგარის სიახლოვეს ის მოუხვევს მარცხნივ და შეუერთდება ახალციხის ქვესადგურს. დაიდგმება 147 ანძა - 109 შუალედური და 38 - კუთხის (საშუალო მანძილი ანძებს შორის – 240 მ). გადამცემი ხაზის ადგილმდებარეობა ნაჩვენების ნახაზზე 2.2.

გარდა ამის გადამცემი ხაზის მშენებლობისთვის, სადაც ამის საჭიროება იარსებებს მოეწყობა სამუშაო უზენაესად მისასვლელი დროებითი გზები საერთო სიგრძით 28.8 კმ გზა, დაახლოებით 200 მ თითო ანძისთვის. შესაძლებლობისდაგვარად მაქსიმალურად იქნება გამოყენებული არსებული გზები. ყველა გზა გრუნტის იქნება.

გადამცემი ხაზის უდიდესი ნაწილი გაივლის არსებული მაღალი ძაბვის ხაზის პარალელურად. ხაზი დაუკავშირდება სხვა პროექტის (შავი ზღვის ენერგოგადაცემის პროექტი) ფარგლებში მშენებარე ქვესადგურს.



უახლოესი დასახლებები მარშრუტის გასწვრივ:

დასახლება	მანძილი, მ	მოსახლეობა
ასპინძის მუნიციპალიტეტი		
ასპინძა	0	3243
სოფ. დამალა	1080	1984
სოფ. დამალა	0	386
სოფ. ოშორა	370	637
სოფ. სარო	310	237
სოფ. ხერთვისი	470	203
სოფ. გელსუნდა	940	81
სოფ. ხიზაბავრა	390	850
სოფ. ჩიხორეში(სეზონური, რამდენიმე კომლი)	0	-
სოფ. ინდუსა(სეზონური, რამდენიმე კომლი)	1220	
ახალციხის მუნიციპალიტეტი		
სოფ. საკუნეთი	310	593
სოფ. ტყემლანა	2500	364
სოფ. აგარა	0	393
სოფ. ზიკილია	690	421
სოფ. წინუბანი	1050	-

გადამცემი ხაზის კომპონენტების ვადები - მშენებლობას დასჭირდება 12 თვე.

ბანაკები: ჰესის მშენებლობის დროს ოთხი ბანაკი მოეწყობა. ძირითადი ბანაკი- გვირაბის მეორე პორტალთან, სოფ. ჩუნჩხასთან (აქვე მოთავსდება ცემენტის ქარხანა, ასაფეთქებელი მასალების საცავი); და სამი უფრო მცირე ბანაკი - წყალამღებთან, სოფ. პტენასთან (გვირაბის პირველი მისასვლელი) და ჰესისთვის შერჩეული ტერიტორიიდან 1.5კმ დაშორებით პლატოზე. ძირითადი ბანაკები მოემსახურება აგრეთვე გადამცემი ხაზის მშენებლობას.

ძაბვის მოწოდება მოხდება ადგილობრივი ქსელიდან. დროებით ბანაკებში დაიდგმება მცირე სიმძლავრის გენერატორები. სასმელად გამოყენებული იქნება წყაროს ან ბუტილირებული წყალი. მანქანების რეცხვა და ბეტონის მომზადება მოხდება ძირითად



ნახაზი 2.2. გადამცემი ხაზის ტრასა

ბანაკში, რომელიც აღჭურვილი იქნება ჩამდინარე წყლის გამწმენდით. დროებით ბანაკებში დაიდგმება ბიოტუალეტები.

ექსპლუატაციის დროს წარმოქმნილი ჩამდინარე წყლის ჩაშვება მოხდება მდ.მტკვარში ბიოლოგიური გაწმენდის შემდეგ. წულამდების უბანზე მოეწყობა შემკრები ორმოები, რომლებს პერიოდულად ამოიტუმბება. ამოღებული წყალი გადატანილ იქნება ჰესის უბანზე არსებულ განწმენდზე მდინარეში ჩაშვებამდე. კვარტალურად მოხდება მდინარის წყლის ხარისხის მონიტორინგი.

პერსონალი

მშენებლობის პერიოდში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა 200 კაცს შეადგენს. ექსპლუატაციის ეტაპზე დასაქმდება 20 კავი პლუს 10 დაცვის მუშაკი. ადგილობრივი მუშახელი პერსონალის საერთო რიცხვის 50%-ამდე იქნება.

3 პოტენციური გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხები

პროექტისთვის შემუშავდა ორი ბსგშ-ს ანგარიში: ერთი ჰესისთვის, მეორე- გადამცემი ხაზის კომპონენტისთვის. განისაზღვრა პროექტის განხორციელებისას პოტენციური ზემოქმედება ბიოფიზიკურ და სოციალურ გარემოზე. ზემოქმედებების შემაჯამებელი ცხრილი მოცემულია ქვემოთ.

ცხრილი 3.1. პოტენციური ზემოქმედება ბუნებრივ გარემოზე (ჰესის და გადამცემი ხაზის კომპონენტი)

სამუშაო	რეცეპტორი	ზემოქმედების წყარო	პოტენციური ზემოქმედების აღწერა
<p>მობილიზაცია</p> <ul style="list-style-type: none"> • ბანაკების მოწყობა, • ტექნიკისა და მასალების მობილიზაცია 	<ul style="list-style-type: none"> • ჰაერი • ნიადაგი • წყალი • ბიომრავალფეროვნება • ინფრასტრუქტურა 	<ul style="list-style-type: none"> • მანქანები • ადამიანები • ნარჩენები 	<ul style="list-style-type: none"> • მტვერი და გამონაბოლქვი ემისიები • ხმაური და ვიბრაცია • ნიადაგის დაბინძურება(ზეთის/საპოხი მასალების გაჟონვა, ნარჩენები) • ნიადაგის და მცენარეული საფარის დატკეპნვა მანქანების მიერ • წყლის დაბინძურება(გაჟონილი ზეთ/საპოხი მასალები, ნარჩენები) • ტერიტორიაზე ადამიანებისა და ტექნიკის არსებობით ფაუნის შემფოთება. • ზემოქმედება ინფრასტრუქტურა • არსებულ მიწათსარგებლობაში შესაძლო შეფერხება მანქანების მიწაზე მოძრაობისას (გზები არ არის აშენებული).

მშენებლობის ფაზა	ჰაერი	<ul style="list-style-type: none"> • ტრანსპორტის მოძრაობა; ტვირთის მიმოსვლა/სამშენებლო და სხვა მასალების შემოზიდვა • ნარჩენების გადაყრა • სამშენებლო ტექნიკა 	<ul style="list-style-type: none"> • მტვერი და გამონახოლქვი ემისიები • შედუღების აეროზოლები (შედუღების გამოყენების შემთხვევაში)
	ნიადაგი	<ul style="list-style-type: none"> • მანქანები/სამშენებლო ტექნიკა • მიწის სამუშაოები • ნარჩენები 	<ul style="list-style-type: none"> • ნიადაგის დატკეპნვა მანქანების მიერ • ნიადაგის დაბინძურება (ზეთის/საპოხი მასალების გაჟონვა, ნარჩენები, მათ შორის ჩამდინარე წყალი) • ზემოქმედება ნიადაგის სტაბილურობაზე/ეროზია • ზემოქმედება ნიადაგის ზედა საფარზე
	წყალი	<ul style="list-style-type: none"> • ტრანსპორტი/სამშენებლო ტექნიკა • მიწის სამუშაოები, სხვა სამშენებლო სამუშაოები • მასალის შესანახი უბნები, ზედაპირული წყლის სიახლოვის შემთხვევაში • მასალათა ნარჩენების შენახვა, ზედაპირული წყლის სიახლოვის შემთხვევაში 	<ul style="list-style-type: none"> • წყლის დაბინძურება(ზეთის/საპოხი მასალების გაჟონვა, ნარჩენები, მათ შორის ჩამდინარე წყალი) • დინების დაცობა - ზემოქმედება ჰიდროლოგიურ რეჟიმზე (ნაკლებად სავარაუდოა)
	ბიოლოგიური გარემო	<ul style="list-style-type: none"> • ტრანსპორტი/სამშენებლო ტექნიკა • ადამიანები 	<ul style="list-style-type: none"> • ხის ჭრა • ავტოტრანსპორტის გარეულ ცხოველებთან შეჯახება • ტრანსპორტის მიერ მცენარეული საფარის დატკეპნვა(პირდაპირი ზემოქმედება) • ზემოქმედება ჰაბიტატზე • ხმაური და ვიბრაცია • ემისიები-არაპირდაპირი ზემოქმედება ხმელეთის ფლორასა და ფაუნაზე • წყლის მომატებული ამღვრევა მშენებლობის პროცესში, რამაც შეიძლება ზეგავლენა იქონიოს თევზის სახეობებზე სამშენებლო ზონის ქვემოთა დინებაში
ექსპლუატაცია (ჰეს)	ნიადაგი	<ul style="list-style-type: none"> • ნარჩენები 	<ul style="list-style-type: none"> • ნიადაგის დაბინძურება(ზეთის/საპოხი მასალების გაჟონვა, ნარჩენები) ტექნიკის არასწორი გამოყენების შემთხვევაში

	წყალი	<ul style="list-style-type: none"> • ნარჩენები 	<ul style="list-style-type: none"> • წყლის დაბინძურება (გაჟონილი ზეთი/საპოხი მასალები, ნარჩენები) ტექნიკის არასწორად გამოყენების შემთხვევაში • წყალამღების ქვემოთ დინებაში ნაკადის შემცირება
	ბიოლოგიური გარემო	<ul style="list-style-type: none"> • კაშხალი/წყალამღები ნაგებობები 	<ul style="list-style-type: none"> • ზემოქმედება თევზების გადაადგილებაზე • წყლის დონის მატების შემთხვევაში(ტერიტორიის დატბორვა) ხმელეთის მცენარეულ საფარზე ზემოქმედება
	ფაუნა	<ul style="list-style-type: none"> • ენერგომომშენებლის ტექნიკა • ქვესადგური • კაშხალი 	<ul style="list-style-type: none"> • ხმაური და ვიბრაცია • ელექტრომაგნიტური ველი • შემცირებულმა ნაკადმა კაშხლის ქვემოთ დინებაში შესაძლოა ზეგავლენა იქონიოს თევზის სახეობებზე.
ექსპლუატაცია(გადამცემი ხაზი)	ბიოლოგიური გარემო	<ul style="list-style-type: none"> • გადამცემი ხაზი 	<ul style="list-style-type: none"> • მცენარეული საფარის მართვა გასხვისების ზოლში • ფრინველებზე/დამურებზე ხმაურის ზემოქმედება • გადამცემ ხაზთან შეჯახება • ელექტრომაგნიტური ველი

პოტენციური სოციალ-ეკონომიკური ზემოქმედება

სამუშაო	ზემოქმედების წყარო	პოტენციური ზემოქმედების აღწერა
მშენებლობა	ტრანსპორტის მოძრაობა	<ul style="list-style-type: none"> • ხმაური და ვიბრაცია • გაზრდილი სატრანსპორტო ნაკადები – გზის საფარზე ზემოქმედება • ზემოქმედება ინფრასტრუქტურაზე • ადამიანთა გადაადგილების შეფერხება - დროებით შეზღუდული მიმოსვლა • ადგილობრივი ლანდშაფტის ვიზუალური ცვლილება • მიწათსარგებლობის სურათის ნაწილობრივი ცვლილება (გასაკუთრებით გადამცემი ხაზის კომპონენტებისათვის) • მძიმე ტრანსპორტის მიერ საკუთრების დაზიანების რისკი • დროებითი დასაქმების შესაძლებლობა • ადგილობრივებისთვის შესაძლო შემოსავლის წყარო მათ მიერ შემოთავაზებული მომსახურებით სარგებლობის შემთხვევაში(კვება, ტრანსპორტის მომსახურება, სამედიცინო მომსახურება და სხვა) • შესაძლებელი კონფლიქტები ადგილობრივ მოსახლეობასა და დასაქმებულ პერსონალს შორის
ექსპლუატაცია	ჰესი	<ul style="list-style-type: none"> • სტაბილური ენერგომომარაგება • დასაქმების შესაძლებლობა (ჰეს და მასთან დაკავშირებული ნაგებობები) • თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს პროექტი გვთავაზობს ენერჯის გამომუშავების საიმედო წყაროს, მას შეეძლება არსებული ენერჯის წყაროების შევსება, რაც თავის მხრივ წარმოებს საშუალებას მისცეს, იმუშაოს უფრო პროგნოზირებადი გრაფიკით და გაზარდოს საერთო წარმოება და დასაქმებულობა. • საიმედო ენერგომომარაგებას ასევე შეუძლია ადგილობრივი ტყის

		რესურსების გამოყენების შემცირება.
	გადამცემი ხაზი	<ul style="list-style-type: none"> • ელექტრომაგნიტური ველის ზემოქმედება • უსაფრთხოების ასპექტები • დასაქმების შესაძლებლობა • სამუშაოზე ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისათვის არსებული რისკები

პროექტის სხვადასხვა საფეხურზე ზემოქმედების განსაზღვრის და შეფასების (ცხრილი 3.1.) გარდა განსახილველი საკითხები დადგინდა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციის გზით.

ჩატარდა საჯარო განხილვების ორი ეტაპი:

ჰესის კომპონენტისთვის - ასპინძასა და ახალქალაქში 2009 წლის 26 ოქტომბერს (მუნიციპალიტეტების გამგეობის ოფისებში).

ეგზ კომპონენტისთვის - ასპინძასა და ახალციხეში 2011 წლის 18 იანვარს.

დამსწრეთა მიერ წამოჭრილი ძირითადი საკითხები შეეხებოდა დასაქმების შესაძლებლობას, პროექტის გავლენას თევზის მიგრაციაზე, სანიტარული ხარჯის ოდენობას და მის საკმარისობას დინების ქვემოთ არსებული ეკოსისტემის შენარჩუნებასა და წყალსარგებლობისთვის. დაისვა მდინარეების მტკვრისა და ფარავნის შესართავთან არსებული მიწის ნაკვეთების მტკვარში ჰესის გამონამუშავარი წყლის 'დამატების' შედეგად ტერიტორიის დატბორვის შესაძლებლობის საკითხი. დასმულ შეკითხვათა როგი ეხებოდა მიწისქვეშა წყალზე შესაძლო ზემოქმედებას და ტარიფებს, მათ შორის ადგილობრივი მოსახლეობისთვის შეღავათების დაწესების შესაძლებლობის თაობაზე. აღნიშნულის გარდა მიღებულ იქნა კომენტარები საქართველოს გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროდან (შეკითხვები და პასუხები მოცემულია დანართში 4).

ჰესის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების განხილვის დროს დასმული შეკითხვების მსგავსად მთავარ საკითხებს წარმოადგენდა დასაქმების შესაძლებლობა, სოციალური პროგრამები, ელექტროენერჯის ტარიფი. გარდა ამისა, ყურადღება გამახვილდა გადამცემ ხაზთან დაკავშირებული უსაფრთხოების რისკები და გასხვისების ზოლში საქმნიანობის ნებადართულობის საკითხები. მიწოდებულ იქნა ინფორმაცია მიწის შესყიდვის და კომპენსაციის საკითხებზე. დარიგდა საინფორმაციო ფურცელი გადამცემი ხაზის მახლობლად მცხოვრები მოსახლეობის უსაფრთხოების ზომების შესახებ (9იხილეთ დანართი 6). დაისვა შეკითხვები ტყეზე, საკუთრების დაზიანების და კომპენსაციის შესახებ. (დასმული შეკითხვები, პასუხები და გარემოსდაცვის და ბუნებრივი რესურსების სამინისტროსგან მიღებული შენიშვნები მოცემულია დანართში 5).

ამ და სხვა დასმულ შეკითხვებს გაეცა პასუხი, გათვალისწინებულ იქნა შემოსული კომენტარებიც. ზემოქმედების შეფასების შესახებ ინფორმაცია, შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებების მითითებით მოცემულია ბსგზმ-ს ანგარიშებში.

დადგინდა, რომ პროექტის განხორციელებისას არ არის მოსალოდნელი ფიზიკური განსახლების საჭიროება. მიწის შესყიდვის საკითხები გადაწყდება ეგზ-ს მშენებლობის დაწყებამდე საქართველოს კანონმდებლობის და მსხესხებლის მოთხოვნების (EBRD და IFC) გათვალისწინებით. (მიწის შესყიდვის გეგმა მუშავდება. შესყიდვა არ მოხდება სამართლიანი კომპენსაციის გადახდის გარეშე).

4 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის მიზანი

ეს დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა შემუშავებულია იმის უზრუნველსაყოფად, რომ GUE-მ დაადგენს პროექტში დაინტერესებულ ყველა მხარეს და შეძლებს მათ პროცესში ჩართვას პროექტის დამუშავების და სიცოცხლის ციკლის პერიოდში. ჩართულობის გეგმაში ასახულია GUE-ს მიერ უკვე ჩატარებული და დაინტერესებულ მხარეებთან მშენებლობის დაწყებამდე, მშენებლობისას და ექსპლუატაციის ფაზებზე თანამშრომლობის სამომავლო გეგმები.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა მოიცავს:

1. დაინტერესებულ მხარეთათვის სათანადო ინფორმაციის დროულ და ხელმისაწვდომი მიწოდებას მისაღები და გასაგები ფორმატით;
2. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გამართვას, რათა მოსმენილი იქნას მათი მოსაზრება, კრიტიკა, უპირატესობების და რისკების მათეული აღქმა პროექტთან და მის განხორციელებასთან დაკავშირებით, მათ შორის დიზაინთან, პოტენციური ნეგატიური ზემოქმედების შესარბილებლად და დადებითი ზემოქმედების გასაძლერებლად შემოთავაზებულ მენეჯმენტის და მონიტორინგის ღონისძიებებთან დაკავშირებით;
3. გასაჩივრების მექანიზმი GUE-ს მიერ დაინტერესებულ მხარეთა პრობლემებსა და საჩივრებზე პასუხის გაცემისა და პრობლემის გადაწყვეტის პროცესის სამართავად.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა აღწერს:

- საზოგადოებასთან კონსულტაციების და ინფორმაციის საჯაროობის ქვეყნისა და საერთაშორისო მოთხოვნებს, რომელთა გათვალისწინებითაც იმოქმედებს GUE;
- პროექტის დაინტერესებულ მხარეებს;
- კონსულტაციების და ინფორმაციის გამოქვეყნების სტრატეგიას, ფორმატს და ვადებს;
- GUE-ს რესურსებს და სამენეჯმენტო სტრუქტურას, რომლებიც საჭიროა მოცემული SEP-ის განსახორციელებლად;
- გასაჩივრების მექანიზმს დაინტერესებული მხარეებისთვის; და
- კონსულტაციებისა და ინფორმაციის საჯაროობის ფარგლებში განსახორციელებელი საქმიანობის ანგარიშგების მექანიზმს.

დროული და კონსტრუქციული კონსულტაციები პროექტის ყველა ეტაპზე ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს (იხილეთ. თავი 5.2).

5 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა - ნაციონალური და საერთაშორისო ნორმები და მოთხოვნები

საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად სკოპინგის პროცესში და გარემოზე ზემოქმედების შეფასების ეტაპზე ჩატარდა კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან. კომპანია მომავალშიც მიაწვდის საზოგადოებას ინფორმაციას პროექტის სიცოცხლის ციკლის ყველა ეტაპზე.

სკოპინგის ფაზაზე:

- თავად პროექტსა და მის ალტერნატივებთან დაკავშირებით

- ბსგზმ-ისთვის შემოთავაზებულ კვლევის ჩარჩოსა და მასშტაბთან დაკავშირებით
- დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმასა და პროგრამასთან დაკავშირებით.

ბსგზმ-ს სამუშაო ვარიანტის მომზადების შემდეგ:

- ზემოქმედების შეფასებასთან დაკავშირებით
- დაგეგმილ გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯმენტის ღონისძიებებთან დაკავშირებით.

ამ სახის პროექტისათვის საზოგადოების მონაწილეობისადმი/ჩართულობისადმი საქართველოს მოთხოვნების შესაბამისად საჯარო მოსმენა უნდა გაიმართოს, ბსგზმ-ს სამუშაო ვერსიის დასრულების შემდეგ.

ამ დოკუმენტში განსაზღვრული და დაგეგმილი პროექტის ფარგლებში ჩასატარებელი საჯარო კონსულტაციების შესაბამისობაში იქნება:

- საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებთან;
- საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების, კერძოდ კი ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) პოლიტიკისა და IFC სამუშაო ნორმა 1-ის მოთხოვნებთან; და
- საზოგადოების ჩართულობის შესახებ საერთაშორისო კონვენციებთან, კერძოდ ორჰუსის კონვენციასთან.

საქართველოს კანონმდებლობისა და EBRD/IFC მოთხოვნები მოცემულია შემდეგ ქვეთავებში.

5.1. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა - ნაციონალური მოთხოვნები საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებით

საქართველოს კანონმდებლობა იძლევა ზოგად სამართლებრივ ჩარჩოს გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის საჯაროობასთან დაკავშირებით; თუმცა მასში გათვალისწინებული არაა რაიმე კონკრეტული მოთხოვნები დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების და მათი ჩართულობის პროცესის ფორმატისა ან ორგანიზებისადმი.

საქართველოს კონსტიტუცია უზრუნველყოფს მოსახლეობისთვის ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და ადამიანის უფლებას მიიღოს დროული სრული და მიუკერძოებელი ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს შესახებ.

პროექტის მომზადების პროცესში მოსახლეობის ჩართულობას არეგულირებს კანონი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“. კანონში მოცემულია იმ საქმიანობის ჩამონათვალი, რომელიც ექვემდებარება გზმ-ის პროცედურას. კანონის მე-6 და მე-7 მუხლების თანახმად, პროექტის განმახორციელებელი ვალდებულია მოამზადოს გზმ-ს ანგარიში და უზრუნველყოს საზოგადოების ჩართულობა პროცესში, რაც ცენტრალურსა და ადგილობრივი პრესაში შესაბამისი განცხადების გამოქვეყნების საშუალებით ხდება. აღნიშნული კანონი ამბობს, რომ გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოპოვების პროცედურის აუცილებელი ნაწილია მოსახლეობის ჩართულობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. ამისი უზრუნველყოფა ხდება დაგეგმილი პროექტის საჯაროდ განხილვით. განხილვაში მონაწილეობს ინვესტორი, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო და ადგილობრივი ხელისუფლება.

საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ნებართვის მოპოვების/გაცემის პროცედურა, მათ შორის გზშ-ის კოორდინირება, ინფორმაციის გამოქვეყნებისა და განხილვის ვადების დადგენა მოიცავს შემდეგ საფეხურებს:

1. საქმიანობის განმახორციელებელი ცენტრალურსა და რეგიონულ გაზეთებში აქვეყნებს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის შესახებ განცხადება უნდა მოიცავდეს პროექტის დასახელებას; საჯარო განხილვის თარიღს, ადგილს და დროს, მისამართს, სადაც დაინტერესებულ მხარეს შეეძლება პროექტის შესახებ ინფორმაციის მიღება; მოსაზრებების, კომენტარების და შეკითხვების შემოტანის ბოლო ვადას.
2. გაზეთში განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში საქმიანობის განმახორციელებელმა ადმინისტრაციულ ორგანოებში უნდა წარადგინოს გზშ-ს ანგარიში (როგორც ნაბეჭდი, ასევე ელექტრონული ვერსია). ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 45 დღის შემდეგ საქმიანობის განმახორციელებელმა უნდა განიხილოს შემოსული კომენტარები. ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არა უადრეს 50 დღისა და არა უგვიანეს 60 დღისა ორგანიზება უნდა გაუკეთოს საჯარო განხილვის პროცესს. ერთი შეხვედრა მაინც უნდა მოეწყოს საქმიანობის განხორციელების ადგილის ადგილობრივი ადმინისტრაციულ ცენტრში. საქმიანობის განმახორციელებელი ვალდებულია შეხვედრიდან ხუთი დღის ვადაში წარადგინოს შეხვედრის მონაწილე უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილი ოქმი.
3. ყველა მიღებული კომენტარი განხილული და შეძლებისდაგვარად გათვალისწინებული უნდა იყოს გზშ-ს ანგარიშის საბოლოო ვერსიაში. როცა გზშ-ს ანგარიშის საბოლოო ვერსიაში ვერ ხერხდება რაიმე კომენტარის გათვალისწინება, საქმიანობის განმახორციელებელმა კომენტარის ავტორ(ებ)ს წერილობით უნდა აცნობოს შესაბამისი არგუმენტაცია. ამის შემდგომ აღნიშნული წერილები, შეხვედრების ოქმი და გზშ-ს ანგარიშის საბოლოო ვერსია განსახილველად წარედგინება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს (მშენებლობის ნებართვის საჭიროების შემთხვევაში წარდგენა ხდება სათანადო ორგანოში). წარდგენილი დოკუმენტაციის პაკეტი უნდა მოიცავდეს ადგილმდებარეობის რუქას, მოსალოდნელი ემისიების მოცულობას და ტიპების, ტექნიკური რეზიუმე, რომელშიც აღწერილია დაგეგმილი საქმიანობა და განცხადება პროექტის კონფიდენციალურობის შესახებ (საჭიროების შემთხვევაში).

მშენებლობისა და ექსპლუატაციის ფაზებზე საზოგადოების მონაწილეობა სავალდებულო არ არის. საჯარო განხილვა იმართება მხოლოდ გზშ-ს სამუშაო ვარიანტის მომზადების შემდეგ. არ არსებობს ინფორმაციის გავრცელების სხვა საშუალებების (მაგ, ბროშურების, პლაკატების ან სხვა ვიზუალური საშუალებების, რადიოსა და ტელევიზიის) გამოყენების მოთხოვნა. მოთხოვნები არ არსებობს, თუ როგორ უნდა განისაზღვროს სავარაუდო დაინტერესებული მხარეები (მათ შორის მოწყვლადი ჯგუფები) და როგორ უნდა იქნას უზრუნველყოფილი მათი ჩართულობა.

5.2. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა - EBRD პოლიტიკა/IFC პროექტების განხორციელების სტანდარტი

პროექტში გათვალისწინებული იქნება IFC-ს EBRD-ის მოთხოვნები ინფორმაციის საჯაროობისა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობასთან დაკავშირებით; კერძოდ, EBRD-ს გარემოს დაცვისა და სოციალური პოლიტიკის (2008) პროექტების განხორციელებისადმი მოთხოვნა 10-ს (PR10): „ინფორმაციის საჯაროობა და დაინტერესებული მხარეების ჩართულობა“ და IFC-ს პროექტების განხორციელების სტანდარტი 1 (PS1). ორივე მსესხებლის მოთხოვნა ამ საკითხთან დაკავშირებით გულისხმობს ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში საზოგადოების ჩართვას პროექტის საწყისი ეტაპიდანვე.

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (SEP) შემუშავებულ იქნა მსესხებლის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. მისი ძირითადი მიზანია განსაზღვროს ადამიანები და ჯგუფები, რომლებიც შეიძლება პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოექცნენ და სხვა დაინტერესებული მხარეები, განსაზღვროს მათი ჩართულობა გარემოსდაცვით და სოციალურ შეფასების საკითხებში პროექტის განხორციელების ყველა ეტაპზე. ჩართულობა მიიღწევა ინფორმაციის მიწოდების და კონსულტაციების გზით. კერძოდ, EBRD და IFC ითხოვს, რომ ბსგზმ ხელმისაწვდომი იყოს მოსახლეობისთვის მისაღებ ფორმატში განხილვის და კომენტარებისთვის. გარდა ამისა EBRD-ს წესების შესაბამისად ბსგზმ და არატექნიკური რეზიუმე ხელმისაწვდომი უნდა დარჩეს საზოგადოებისთვის პროექტის ყველა ეტაპზე, ან მინიმუმ მის დასრულებამდე. ამ პროექტისთვის დაფინანსების შესახებ გადაწყვეტილების მიღების პერიოდად 60 დღე განისაზღვრა.

SEP ცოცხალი დოკუმენტია და პერიოდულად განახლდება.

5.3. საზოგადოების მონაწილეობასთან დაკავშირებული საერთაშორისო კონვენციები

ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების ჩართულობის მსგავსი მოთხოვნები მოცემულია შემდეგ საერთაშორისო დოკუმენტებშიც:

- **ორჰუსის კონვენცია.** გაეროს ევროპული ეკონომიკური კომისიის (UNECE) კონვენცია ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებათა მიღებაში საზოგადოების ჩართულობისა და გარემოსდაცვით საკითხებში სამართლის ხელმისაწვდომობის შესახებ გარანტირებს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილებათა მიღებაში საზოგადოების ჩართულობისა და გარემოსდაცვით საკითხებში სამართლის ხელმისაწვდომობის უფლებებს, რათა დაცული იქნას ადამიანთა უფლებები, იცხოვრონ ჯანსაღ გარემოში. საქართველომ მოახდინა ორჰუსის კონვენციის რატიფიცირება, და შესაბამისად ეს არის საქართველოს მთავრობის კანონმდებლობის მოთხოვნაც.
- **დღის წესრიგი 21 (Agenda 21).** ... (გაერო, 1992) პუნქტი 27(9)-ის თანახმად, გაეროს სისტემამ არასამთავრობო ორგანიზაციებს დროულად უნდა მიაწოდოს ზუსტი მონაცემები და ინფორმაცია, რითაც უზრუნველყოფს მათი პროგრამებისა და საქმიანობის ეფექტურობას მდგრადი განვითარების მიმართულებით.
- **რიოს დეკლარაცია გარემოსა და განვითარებაზე (1992).** დანართი 1, პრინციპი 10 - ყოველ პირს შეუძლია მიიღოს სათანადო ინფორმაცია სახიფათო ნივთიერებებზე და მათ თემში შესრულებულ საქმიანობაზე. [...] ინფორმაციის

ხელმისაწვდომობით სახელმწიფოებმა ხელი უნდა შეუწყოს საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას და პროცესებში მათ ჩართულობას.

- **გაეროს გენერალური ასამბლეის დადგენილება A/RES/S 19/2** (1997). მუხლი 108-მდგრადი განვითარებისთვის არსებითია ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და ფართო საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- **დუბლინის დეკლარაცია გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ** (2000) - UNEP Infoterra
- **ევროკავშირის დირექტივა 2003/4/EC** (ჩაანაცვლა დირექტივა 90/313) მოსახლეობისთვის მოსახლეობისთვის გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე. მასში გათვალისწინებულია ორჰუსის კონვენციის დებულებები და მოთხოვნები გარემოსდაცვითი ინფორმაციის მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომობის შესახებ.

6 პროექტის დაინტერესებული მხარეები

პროექტის დაინტერესებული მხარეებია ფიზიკური პირები ან ჯგუფები, რომელნიაც:

- განიცდიან ან შესაძლებელია განიცადონ პროექტის პირდაპირი ან არაპირდაპირი ზემოქმედება (გავლენის ქვეშ მყოფი მხარეები);
- შესაძლოა დაინტერესებულნი იყვნენ პროექტით (დაინტერესებული მხარეები). მათი შედის პროექტის გავლენის ქვეშ მყოფი პირებიცა და ჯგუფებიც, ასევე ის მოსახლეობა, რომლებიც ასეთად მიიჩნევენ თავს;
- შეუძლია გავლენა იქონიონ პროექტის შედეგებზე ან კომპანიის საქმიანობაზე.

ამას გარდა, დაინტერესებულ მხარეთა ზოგიერთი ჯგუფისთვის შესაძლოა განისაზღვროს „დაინტერესებული მხარის უფლებამოსილი წარმომადგენელი“. უფლებამოსილი წარმომადგენელი შესაძლოა იყოს არჩეული ოფიციალური პირი, თემის არაოფიციალური ლიდერები, ფორმალური ან არაფორმალური საზოგადოებრივი ინსტიტუტების ლიდერები, უხუცესები და სხვა.

პროექტის ამ საფეხურზე, მისი ადგილმდებარეობისა და საქმიანობის გათვალისწინებით განისაზღვრა დაინტერესებულ მხარეთა სავარაუდო ჩამონათვალი. დაინტერესებულ მხარეთა განსაზღვრისას გათვალისწინებული იყო პროექტისა და მისი სატრანსპორტო დერეფნების ზეგავლენის გეოგრაფიული არეალი.

ძირითად დაინტერესებულ მხარეთა სიაში შესულია პროექტის უშუალო ან ირიბი ზეგავლენის ქვეშ მყოფი შემდეგი მხარეები:

- პროექტის ზეგავლენის ქვეშ მყოფი ტერიტორიის მოსახლეობა. ზეგავლენის ქვეშ მყოფ მოსახლეობაში განისაზღვრება მოწყვლადი ჯგუფები, რომლებთანაც მოეწყობა შესაბამისი კონსულტაციები;
- არასამთავრობოები და საზოგადოებრივი საინიციატივო ჯგუფები;
- მუნიციპალური ხელისუფლების ორგანოები;
- სამინისტროები და დეპარტამენტები;
- ბიზნესისა და კომერციული სექტორი;
- კონტრაქტორი (განსაზღვრის შემდეგ) და
- სხვა სამთავრობო ინსტიტუტები

(სრული სია, სათანადო ინფორმაციით მოცემულია დანართში 1.)

ქვემოთ, ცხრილში 6.1-ში, მოცემული ფარავნის პროექტის სხვადასხვა ეტაპზე დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის პროცესის დეტალებს.

ცხრილი 6.1. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის შემოთავაზებული გეგმა

ეტაპი	დაინტ. მხარე	ჩართულობის პროცედურა/მეთოდი	გამოქვეყნებული ინფორმაციის ფორმატი	შენიშვნა
წინასაპროექტო ეტაპი 2007-2009	<ul style="list-style-type: none"> გადაწყვეტილების მიმღებნი, რეგიონული მთავრობის წარმომადგენლები, საზოგადოება 	<ul style="list-style-type: none"> ინფორმირება 	<ul style="list-style-type: none"> ინფორმირება ტელევიზიის, ინტერნეტის საშუალებით 	
სკოპინგის ეტაპი (ჰეს-ის კომპონენტი) 2009 აგვისტო - სექტემბერი	<ul style="list-style-type: none"> დაინტერესებული მხარეები (იხ. დანართი A) 	<ul style="list-style-type: none"> შეხვედრები საიტის დათვალიერების დროს, ინფორმაციის გავრცელება 	<ul style="list-style-type: none"> დაგეგმილი მშენებლობის, საპროექტო საიტების ადგილმდებარეობის, დასაქმების მოთხოვნები, ბსგზშ-ს ამოცანები 	
სკოპინგის ეტაპი (გადამცემი ხაზის კომპონენტი) – 2010 ოქტომბერი, ნოემბერი	<ul style="list-style-type: none"> დაინტერესებული მხარეები (იხ. დანართი A) 	<ul style="list-style-type: none"> შეხვედრები საიტის დათვალიერების დროს, ინფორმაციის გავრცელება 	<ul style="list-style-type: none"> დაგეგმილი მშენებლობის, საპროექტო საიტების ადგილმდებარეობის, დასაქმების მოთხოვნები, ბსგზშ-ს ამოცანები 	
2009 აგვისტო-ნოემბერი (ჰეს-ის კომპონენტი); 2011 ოქტომბერი-იანვარი(გადამცემი ხაზის კომპონენტი)	<ul style="list-style-type: none"> მთავრობის წარმომადგენლები ადგილობრივი/რეგიონული ოფიციალური პირების ჩათვლით და გარემოსდაცვითი წარმომადგენლები 	<ul style="list-style-type: none"> ინტერვიუები შეხვედრა ჩართულობის პროცესი 	<ul style="list-style-type: none"> არატექნიკური დოკუმენტაცია პროექტის შეჯამება ბროშურები 	სრული ბსგზშ-ს ნაბეჭდი ასლები ხელმისაწვდომია ზემოთ მითითებულ მისამართზე. ელექტრონული ვერსია - ჯორჯიან ურბან ენერჯის ვებგვერდზე
	<ul style="list-style-type: none"> გარემოსდაცვითი და სხვა არასამთავრობო და საინიციატივო ჯგუფები 	<ul style="list-style-type: none"> ელექტრონული ფოსტა ტელეფონი 	<ul style="list-style-type: none"> ბროშურები არატექნიკური დოკუმენტაცია პროექტის შეჯამება 	
	<ul style="list-style-type: none"> საწარმოები, ბიზნესი 	<ul style="list-style-type: none"> ინტერვიუები საზოგადოებასთან შეხვედრა ელ.ფოსტა ტელეფონი 	<ul style="list-style-type: none"> ბროშურები არატექნიკური დოკუმენტაცია პროექტის შეჯამება 	
	<ul style="list-style-type: none"> ზემოქმედების სფეროში მოხვედრილი მაცხოვრებლები, ე.ი. გადამცემი ხაზის მარშრუტის მიმდებარე დასახლებათა მოსახლეობა 	<ul style="list-style-type: none"> ინტერვიუები და ფოკუს-ჯგუფთან დისკუსიები კვლევები საზოგადოებასთან შეხვედრა 	<ul style="list-style-type: none"> ბროშურები არატექნიკური დოკუმენტაცია პროექტის შეჯამება 	
	<ul style="list-style-type: none"> ადგილობრივი მოსახლეობა მგრძნობიარე ნაწილის ჩათვლით, 	<ul style="list-style-type: none"> ინტერვიუები კვლევები საზოგადოებასთან შეხვედრა 	<ul style="list-style-type: none"> ბროშურები არატექნიკური დოკუმენტაცია პროექტის შეჯამება 	

	მაგ. ქალები და სხვა შესაბამისი ქვეჯგუფები(მაგ. მოხუცები, ბავშვები და სხვ.)			
	o მოწვეულია ყველა დაინტერესებული მხარე	o ბსგზმ-ს პირველადი ვარიანტის წარდგენის შემდეგ საზოგადოებასთან შეხვედრა, როგორც ამას მოითხოვს საქართველოს კანონმდებლობა		
მშენებლობისა და ექსპლუატაციის პერიოდებში	o მთავრობის წარმომადგენლები, გარემოსდაცვითი ოფიციალური პირებისა და გარემოსდაცვითი არასამთავრობოები ს ჩათვლით	o გასაჩივრების მექანიზმები	o უკუკავშირის ფორმატი დამოკიდებულია საჩივარზე	სრული ბსგზმ-ს ელექტრონული ვერსია ხელმისაწვდომია ჯორჯიან ურბან ენერჯის ვებგვერდზე მშენებლობის მთელ პერიოდში
	o არასამთავრობოები, ბიზნესის წარმომადგენლები, ადგილობრივი მოსახლეობა მგრძნობიარე ნაწილის ჩათვლით, მაგ. ქალები და სხვა შესაბამისი ქვეჯგუფები(მაგ. მოხუცები, ბავშვები და სხვ.)	o ღია კარის დღეები o პროექტის სიახლეები o გასაჩივრების მექანიზმები		

7 დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად ჩატარებული ღონისძიებები

ადგილობრივ მმართველობასთან, ნებართვის და მაკონტროლებელ სახელმწიფო ორგანოებთან თანამშრომლობა გამოისახა რიგ შეხვედრებსა და დისკუსიებში.

2007 წლის 29 მაისს მთავრობის კანცელარიაში ხელი მოეწერა მემორანდუმს მთავრობასა და კომპანია ჯორჯია ურბან ენერჯის შორის სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ფარავანჰესის აგების თაობაზე. მემორანდუმს ხელი საქართველოს პრემიერმინისტრმა და შპს ჯორჯია ურბან ენერჯის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ, ერგუნ ათაბაიმი მოაწერეს. მოგვიანებით გაიმართა პრესკონფერენცია, რომლის მსვლელობაშიც ზურაბ ნოღაიდეღმა, საქართველოს მაშინდელმა პრემიერმინისტრმა, განმარტა მემორანდუმის დეტალები. ინფორმაცია გამოქვეყნდა ინტერნეტისა და მასმედიის საშუალებით.

პროექტის შესახებ ინფორმაცია გაცხადებულ იქნა 2007 წლის 5 დეკემბერს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მიერ. დაწესდა ვადა, ინფორმაციის გამოქვეყნებიდან 20 დღე, საზოგადოების მხრიდან კომენტარებისა და შენიშვნების (ასეთების არსებობის შემთხვევაში) მისაღებად. 2007 წლის 25 დეკემბერს ახალქალაქის მუნიციპალიტეტის მთავრობის შენობაში ჩატარდა შეხვედრა საზოგადოებასთან. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს ადგილობრივი მთავრობის წარმომადგენლებმა, ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული განვითარების სამსახურის უფროსმა (შ. შირინიანი), მშენებლობის სპეციალისტმა (შ. რაისიანი), კერძო საკუთრებისა და მიწათსარგებლობის სპეციალისტმა (ნ. კაზარიანი), იურიდიული საკითხების სპეციალისტმა (ს. ეზოიანი), ჯორჯია ურბან

ენერჯის გენერალურმა დირექტორმა (ნ. კურტანიძე) და სხვა დაინტერესებულმა მხარეებმა. გახმაურებულ იქნა ტექნიკური ინფორმაცია .

2008 წლის 10 იანვარს ანალოგიური შედეგა შეხვედრა ასპინძის მუნიციპალიტეტში. ესწრებოდნენ ასპინძის თვითმმართველობის უფროსის მოადგილე (ტ. გიგაშვილი), ასპინძის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული განვითარების უფროსი (მამუკა ხიზაძე), ასპინძის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი (ვ. ლოლაძე), ასპინძის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური და ინფრასტრუქტურული განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი (რ. წიკლაური), ასპინძის მუნიციპალიტეტის იურიდიული სამსახურის წარმომადგენელი (ს. სუარიძე), საზოგადოების წარმომადგენლები (მერაბ ნარიშანიძე, მიხეილ მაისურაძე, გიორგი მდრადე, დავით პაპაშვილი), ჯორჯია ურბან ენერჯის გენერალური დირექტორი (ნოდარ კურტანიძე) და სხვა დაინტერესებული მხარეები.

რამდენადაც ჰეს და ქვესადგური შენდება ხერთვისი-ვარძის ისტორიულ მხარეში, ჩატარდა კონსულტაციები საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროსთან. განხილული იქნა ინფორმაცია პროექტის, ადგილმდებარეობისა და კულტურულ მემკვიდრეობაზე პოტენციური ზემოქმედების შესახებ. ამ დისკუსიისა და არქეოლოგიის ექსპერტის მიერ ტერიტორიის დათვალიერების შედეგებზე დაყრდნობით ჯორჯია ურბან ენერჯიმ მოიპოვა ამ ტერიტორიაზე მუშაობის თანხმობა. შედეგა რამდენიმე შეხვედრა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ექსპერტთან.

შედეგა პირისპირ შეხვედრები და საუბრები ადგილობრივ მაცხოვრებლებთან 2009 წლის 12-25 აგვისტოს (პროექტის ჰეს-ის ფაზა) და მოგვიანებით - 2010 წლის ოქტომბერში (პროექტის გადამცემი ხაზის ფაზა). საიტის დათვალიერების დროს მოხდა დაინტერესებულ მხარეთა სიის გადამოწმება, გადაიხედა საკონტაქტო ინფორმაცია. მოხდა რიგი ადგილობრივი არასამთავროების ინფორმირება. ინფორმირება მოხდა ტელეფონით, ელექტრონული ფოსტით დაიგზავნა ინფორმაცია დაგეგმილი პროექტის შესახებ.

2009 წლის 8 სექტემბერს, დაგეგმილ მშენებლობასთან (ფარავანჰესის მშენებლობა) დაკავშირებით საქართველოს ბუნებისდაცვითი კანონმდებლობის შესაბამისად, გამოქვეყნდა ინფორმაცია საჯარო განხილვის თარიღის, დროისა და ადგილების შესახებ, და მისამართები, სადაც საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იქნებოდა პროექტის შესახებ ინფორმაცია და ზემოქმედების შეფასების დოკუმენტები. განცხადებები დაიბეჭდა ცენტრალურ („24 საათი“) და რეგიონულ („ასპინძა“ და „სამხრეთის კარიბჭე“) გაზეთებში. მოგვიანებით, 2010 წლის 23 დეკემბერს, იგივე გაზეთებში გამოქვეყნდა კიდევ ერთი ინფორმაცია, რომელიც ამჯერად დაინტერესებულ მხარეებს ატყობინებდა გადამცემი ხაზის დეტალების შესახებ.

გარდა ამისა, საწყისი ფაზიდანვე ინტერნეტში იდებოდა მთელი რიგი სტატიები და პრეს-რელიზები. ამ ვებგვერდების, ბეჭდვით მედიის და იმ არასამთავროების, ბიზნესისა და საზოგადოების წარმომადგენლების სია, რომლების მონაწილეობდნენ პროცესში, საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით, მოცემულია დანართში 1.

ჩატარდა საჯარო განხილვების ორი რაუნდი:

- ასპინძასა და ახალქალაქში (ჰესის კომპონენტი) – 2009 წლის 26 ოქტომბერს;

- ასპინძასა და ახალციხეში (ეგხ-ს კომპონენტი) – 2011 წლის 18 იანვარი;
- ასპინძასა და ახალქალაქში(ჰეს-ის დეტალები) – 2009 წლის ოქტომბერი;

კონსულტაციების ჩასატარებლად მომზადდა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების დოკუმენტები პაკეტი. გარდა დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის ამ დოკუმენტისა, მომზადდა ორი გარემოზე ზემოქმედების ანგარიში, გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმები და არატექნიკური რეზიუმეები ჰესის და გადამცემი ხაზის კომპონენტებისთვის.

ცხრილში 7.1. მოცემულია ინფორმაცია ამ დროისთვის ჩატარებული ღონისძიებების შესახებ.

ცხრილი 7.1. ჩატარებული ღონისძიებების რეზიუმე

ჩართულობის ხასიათი და ადგილი	კონსულტაციებში მონაწილე პირები, ჯგუფები და /ან ორგანიზაციები	ძირითადი განხილული თემები/ წამოჭრილი ძირითადი პრობლემატური საკითხები	წამოჭრილ საკითხებზე კომპანიის პასუხი	გამოქვეყნებული ინფორმაციის ტიპი	ინფორმაციის მიწოდების ფორმატი (სიტყვიერი, ბროშურები, ანგარიშები, სხვ.)
დისკუსიების სერია 4.12.2007; 21.12.2007; 25.12.2007 10.01.2008; 20.01.2008; 30.01.2008; 17.12.2010; 24.12.2010.	ნებართვის გამცემი ოფიციალური პირები, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები.	დაგეგმილი მშენებლობა	დაგეგმილ მშენებლობასთან დაკავშირებული განმარტებები	საპროექტო ნაგებობების კონცეპტუალური სქემა, გეგმები, სამუშაოს შესრულების გრაფიკები.	სიტყვიერი, ტელეფონით, ელფოსტით
საჯარო შეხვედრები, ადგილი - ახალქალაქის, ასპინძის მუნიციპალიტეტები. 7.09.2009 26.10.2009	ადგილობრივი მუნიციპალიტეტის, საზოგადოების წარმომადგენლები.	ჰეს-ის მშენებლობის, ექსპლუატაციის დროს დასაქმების შესაძლებლობა; წყლის ხელმისაწვდომობაზე შესაძლო ზემოქმედება.	არსებული შრომითი გამოცდილება და მათი გამოყენებისადმი მოთხოვნების ახსნა. განხილულია კომპანიის სოციალური პოლიტიკა და გეგმები. მითითება ბსგზმ-ზე.	პროექტის ტექნიკური ასპექტები, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება, შემარბილებელი ღონისძიებები.	PowerPoint პრეზენტაცია, საინფორმაციო ფურცლები, არატექნიკური რეზიუმე, რუკები
საჯარო შეხვედრა, ადგილი - ასპინძის, ახალციხის მუნიციპალიტეტები 18.01.2011 26.12.2010	ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, საზოგადოება.	დასაქმების შესაძლებლობა; გადამცემი ხაზის ზემოქმედება მიწათსარგებლობაზე; მშენებლობის პერიოდში ზარალის/დანაკარგების ანაზღაურების მექანიზმები.	განმარტება, მითითება კანონმდებლობისა და EBRD-ის მოთხოვნებზე. გახმაურებულ იქნა ჯორჯია ურბან ენერჯის დასაქმების პოლიტიკა.	პროექტის ტექნიკური ასპექტები, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება, შემარბილებელი ღონისძიებები.	PowerPoint პრეზენტაცია, საინფორმაციო ფურცლები, არატექნიკური რეზიუმე, რუკები. მიწის შესყიდვის კანონით განსაზღვრული პროცედურის რეზიუმე
პირისპირ შეხვედრები მოსახლეობასთან ივლისი 2009 წ. აგვისტო, 2009 წ.	საზოგადოება	დასაქმების შესაძლებლობა და საკვალიფიკაციო კრიტერიუმები, წყალზე ზემოქმედების		დაგეგმილი სამუშაოები, ადგილობრივ მაცხოვრებლებზე შესაძლო	სიტყვიერი, ინტერვიუები

სექტემბერი 2010 წ. ოქტომბერი 2010 ნოემბერი.2010 წ.		საშიშროება; გადამცემი ხაზის სიახლოვეში ნებადართული და აკრძალული მოქმედებები.		ზემოქმედება. სამუშაოთა ხანგრძლივობა.	
--	--	--	--	--------------------------------------	--

საზოგადოებისთვის მიწოდებულია შემდეგი ინფორმაცია:

ფარავანჭესის კომპონენტები

დოკუმენტის/ინფორმაციის ტიპი	მისამართი, რომელზეც ხელმისაწვდომია დოკუმენტი/ინფორმაცია	თარიღი
ინფორმაცია პროექტზე	<ul style="list-style-type: none"> საქართველოს მთავრობის ვებგვერდი; საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი; Georgian Business week; Business new Europe ; NewsTurkey.com; პრაიმ ნიუსი; Caucasus press და ა.შ. 	2007-2009
წინასწარი ანგარიში	<ul style="list-style-type: none"> ჯორჯია ურბან ენერჯი, ჭავჭავაძის 37დ, თბილისი სკვ „გამა“-ს ოფისი, მერაბ ალექსიძის 9ა, თბილისი Anadolu Group, Umut Sok 12, Icerenkoy Istanbul/Turkey EBRD-ის ოფისი, თბილისი/EBRD-ის ოფისი, ლონდონი 	ავგისტო-სექტემბერი, 2009
ინფორმაციის საკმარისობის ანალიზი		
დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა (სამუშაო ვერსია)		
ინფორმაცია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ/მოკლე ინფორმაცია პროექტზე	<ul style="list-style-type: none"> რესპუბლიკური გაზეთი „24 საათი“ რეგიონული გაზეთი „ასპინძა“ რეგიონული გაზეთი „სამხრეთის კარიბჭე“ 	8 სექტემბერი, 2009
ბსგზშ-ს ანგარიშის სამუშაო ვერსია	<ul style="list-style-type: none"> ჯორჯია ურბან ენერჯი, ჭავჭავაძის 37დ, თბილისი სკვ „გამა“-ს ოფისი, მერაბ ალექსიძის 9ა, თბილისი ასპინძის მუნიციპალიტეტი, თამარ მეფის ქუჩა 3, ასპინძა ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, ჩერენცის ქუჩა 11, ახალქალაქი 	7 სექტემბერი, 2009 8 ოქტომბერი, 2009
	<ul style="list-style-type: none"> საქართველოს გდბრს, გულუას ქუჩა 6, თბილისი 	
არატექნიკური რეზიუმე	<ul style="list-style-type: none"> ჯორჯია ურბან ენერჯი, ჭავჭავაძის 37დ, თბილისი სკვ „გამა“-ს ოფისი, მერაბ ალექსიძის 9ა, თბილისი Anadolu Group, Umut Sok 12, Icerenkoy Istanbul/Turkey 	8 ოქტომბერი, 2009
დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა		
გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა		
საბოლოო ბსგზშ	<ul style="list-style-type: none"> ჯორჯია ურბან ენერჯი, ჭავჭავაძის 37დ, თბილისი სკვ „გამა“-ს ოფისი, მერაბ ალექსიძის 9ა, თბილისი საქართველოს გდბრს, გულუას ქუჩა 6, თბილისი 	ოქტომბერი, 2009
მიღებული გდბრს-ს მიერ გაცემული გარემოსდაცვითი ნებართვა (09.11.2009)		

გადამცემი ხაზის კომპონენტი

დოკუმენტის/ინფორმაციის ტიპი	მისამართი, რომელზეც ხელმისაწვდომია დოკუმენტი/ინფორმაცია	თარიღი
დაგეგმილ მშენებლობასთან დაკავშირებული ინფორმაცია/მოკლე ინფორმაცია პროექტზე	<ul style="list-style-type: none"> რესპუბლიკური გაზეთი „24 საათი“ რეგიონული გაზეთი „ასპინძა“ რეგიონული გაზეთი „სამხრეთის კარიბჭე“ ჯორჯია ურბან ენერჯი, ჭავჭავაძის 37დ, თბილისი ასპინძის მუნიციპალიტეტი, თამარ მეფის ქუჩა 3, ასპინძა ახალციხის მუნიციპალიტეტი, მერაბ კოსტავას ქუჩა 18, ახალციხე 	23 ნოემბერი, 2010
ბსგზშ-ს სამუშაო ვერსია	<ul style="list-style-type: none"> ჯორჯია ურბან ენერჯი, ჭავჭავაძის 37დ, თბილისი სკვ „გამა“-ს ოფისი, მერაბ ალექსიძის 9ა, თბილისი ასპინძის მუნიციპალიტეტი, თამარ მეფის ქუჩა 3, ასპინძა ახალციხის მუნიციპალიტეტი, მერაბ კოსტავას ქუჩა 18, ახალციხე გადაეგზავნა საქართველოს გდბრს-ს 	იანვარი, 2011
არატექნიკური რეზიუმე	<ul style="list-style-type: none"> ჯორჯია ურბან ენერჯი, ჭავჭავაძის 37დ, თბილისი 	იანვარი, 2011
გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა	<ul style="list-style-type: none"> ჯორჯია ურბან ენერჯის ვებგვერდი სკვ „გამა“-ს ოფისი, მერაბ ალექსიძის 9ა, თბილისი 	
დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა	<ul style="list-style-type: none"> Anadolu Group, Umut Sok 12, Icerenkoy Istanbul/Turkey EBRD-ის ოფისები ლონდონსა და თბილისში 	
განსახლების გეგმის პირველადი ვარიანტი	<ul style="list-style-type: none"> ჯორჯია ურბან ენერჯი, ჭავჭავაძის 37დ, თბილისი სკვ „გამა“-ს ოფისი, მერაბ ალექსიძის 9ა, თბილისი Anadolu Group, Umut Sok 12, Icerenkoy Istanbul/Turkey EBRD-ის ოფისები ლონდონსა და თბილისში 	იანვარი, 2011
საბოლოო ბსგზშ	<ul style="list-style-type: none"> ჯორჯია ურბან ენერჯი, ჭავჭავაძის 37დ, თბილისი სკვ „გამა“-ს ოფისი, მერაბ ალექსიძის 9ა, თბილისი Anadolu Group, Umut Sok 12, Icerenkoy Istanbul/Turkey საქართველოს გდბრს, გულუას ქუჩა 6, თბილისი 	იანვარი, 2011

საჯარო განხილვის სხდომების ოქმები თან ერთვის (იხილეთ დანართი 4 და დანართი 5).

8 მომავალი კონსულტაციები

მშენებლობის პერიოდში ჯორჯია ურბან ენერჯი ჩაატარებს კონსულტაციებსა და მიაწვდის ინფორმაციას დაინტერესებულ მხარეებს. ამასთანავე, მშენებლობის ეტაპზე კომპანია:

- მოახდენს პროექტის ზემოქმედების ზონაში მოქცეული მოსახლეობის ინფორმირებას ყველა იმ მოსამზადებელი და სამშენებლო სამუშაოს შესახებ, რომლებმაც შესაძლოა გავლენა იქონიონ მათზე. ინფორმაციის მიწოდება მოხდება ასეთი სამუშაოების დაწყებამდე მინიმუმ ერთი კვირით ადრე;
- მიაწვდის ზემოქმედების ქვეშ მყოფ მოსახლეობას მშენებლობის მსვლელობის შესახებ აქტუალურ ინფორმაციას;
- ამოქმედებს გასაჩივრების პროცედურას (იხილეთ თავი 12 ქვემოთ).

ინფორმაციის მისაწოდებლად გამოყენებული იქნება პროექტის ვებგვერდი. მიწოდებული იქნება:

- სამშენებლო სამუშაოების აღწერა, ყველა ტიპის სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების თარიღების მითითებით;
- ნახაზი, რომელზეც მითითებული იქნება სამუშაოებით გამოწვეული ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ტერიტორიები და შემდეგი ინფორმაცია:
 - მოსალოდნელი ზემოქმედებების ტიპი და ხანგრძლივობა;

- ყველა ტიპის ზემოქმედების შემარბილებელი ზომები;
- კვლევები და დოკუმენტაცია, რომლებიც ეხება ან რომელსაც გავლენა აქვს მიმდებარე ტერიტორიების მოსახლეობას;
- სამშენებლო მოედანზე (საიტზე) მიმდინარე სამუშაოების მსვლელობის ფოტოები.

ამას გარდა, მათთვის ვისაც არა აქვს ინტერნეტის გამოყენების საშუალება, გამოყენებული იქნება საინფორმაციო ფურცლები.

დაგეგმილია შეხვედრები პროექტის პოტენციური ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობასთან (ეს, ძირითადად, ეხება გადამცემი ხაზის კომპონენტს, რამდენადაც შესაძლოა საჭირო გახდეს მიწის შესყიდვა და ზარალის/დანაკარგების ანაზღაურება). საჭიროების შემთხვევაში, შესაძლოა ადგილობრივ პრესაში პრესრელიზების გამოქვეყნებაც.

გარდა მისა, ყოველ სამ თვეში ერთხელ ან უფრო ხშირად, თუ ადგილი ექნება მოსახლეობაზე პირდაპირ ზემოქმედებას, ჩატარდება შეხვედრები მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციასთან პროექტის მსვლელობის შესახებ ინფორმირების მიზნით. მუნიციპალიტეტს შეუძლია მიაწოდოს ინფორმაცია მოსახლეობას.

პროექტის მოქმედების მთელ პერიოდში GUE გააგრძელებს დაინტერესებულ მხარეთათვის ინფორმაციის მიწოდებას ვებგვერდის მეშვეობით, ადგილობრივი მუნიციპალიტეტების და სხვა საშუალებებით, როგორც ეს განსაზღვრულია ზემოთ. გასაჩივრების პროცედურა, რომელიც მე-12 თავშია აღწერილი, ასევე იმუშავებს პროექტის სიცოცხლის ციკლის მანძილზე.

EBRD/IFC მოთხოვნების შესაბამისად, ჩატარდება დამატებითი კონსულტაციები არასამთავრობო ორგანიზაციებთან თბილისში და ე.წ. „open house“-ები პროექტის განხორციელების ზონაში მყოფ სოფლების მოსახლეობისთვის.

9 დოკუმენტაციის გამოქვეყნება

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა, სხვა გარემოსდაცვით დოკუმენტებთან (არატექნიკური რეზიუმე, გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა, ბსგშმ ანგარიშები) ერთად, გამოქვეყნდება პროექტის (<http://www.paravanihpp.com>), EBRD-ს (www.ebrd.com) და IFC-ს (<http://www.ifc.org/disclosure>) ვებგვერდებზე. ეს საშუალებას მისცემს ინტერნეტ-კავშირის მქონე დაინტერესებულ მხარეებს, იხილონ ინფორმაცია დაგეგმილი მშენებლობის, მისი მსვლელობის შესახებ და მონაწილეობა მიიღონ საჯარო კონსულტაციებში. პროექტის ვებგვერდზე ასევე მითითებულია ელექტრონული ფოსტის მისამართს (info@paravanihpp.com), რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომხატურებათა გასაგზავნად.

ბსგშმ ანგარიშის, არატექნიკური რეზიუმეს, გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმის და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმის ასლები ასევე ხელმისაწვდომი იქნება ფართო საზოგადოებისათვის შემდეგ მისამართებზე:

- ნაბეჭდი სახით „ჯორჯია ურბან ენერჯი“-ს ოფისში - ჭავჭავაძის ქუჩა 37დ, თბილისი, საქართველო;
- ნაბეჭდი სახით სკვ „გამა“-ს ოფისში - მერაბ ალექსიძის ქუჩა 9, თბილისი;

- ნაბეჭდი სახით ახალციხის მუნიციპალიტეტის სამთავრობო ოფისში - მერაბ კოსტავას 18, ახალციხე
- ნაბეჭდი სახით ასპინძის მუნიციპალიტეტის სამთავრობო ოფისში - თამარ მეფის ქუჩა 3, ასპინძა
- ნაბეჭდი სახით ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სამთავრობო ოფისში - ჩერენცის 11, ახალქალაქი

გარდა ამისა:

- არატექნიკური რეზიუმეს ასლები ასევე დაიდება EBRD-ს და IFC ვებგვერდზე
- არატექნიკური რეზიუმე, გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა და საზოგადოების ჩართულობის გეგმა განთავსდება პროექტის ვებგვერდზე
- ნაბეჭდი ასლის სახით EBRD-ის თბილისის ოფისში - მარჯანიშვილის ქუჩა 6, (მწვანე შენობა, IV–V სართულები), 0105 თბილისი. ანავე ოფისში ხელმისაწვდომი იქნება კომპაქტ დისკებზე ჩაწერილი დარჩენილი ანგარიშებიც;
- სრული პაკეტი ხელმისაწვდომი იქნება EBRD-ის ბიზნეს ინფორმაციის ცენტრში, ელექტრონული სახით (კომპაქტ დისკზე), მისამართი: One Exchange Square, London, EC2A 2JN.

საჯარო კონსულტაციის პროცესი ღია იქნება პროექტის მსვლელობის განმავლობაში. ეს გულისხმობს საზოგადოებრიობამდე გარემოსდაცვითი და სოციალური კვლევების დასკვნებისა და ანალიზის შედეგების მიტანას, მთელი ბსგზმ-ს პროცესში მათი გამოჩენის და მიხედვით. არატექნიკური რეზიუმე და გასაჩივრების მექანიზმი მომზადდება ინგლისურ, ქართულ და რუსულ ენებზე, ხოლო საზოგადოების ჩართულობის გეგმა და გარემოსდაცვითი და სოციალური სამოქმედო გეგმა - მხოლოდ ქართულ და ინგლისურ ენებზე.

იგულისხმება, რომ სათანადო ანგარიშების ელექტრონული ვერსიები (ბსგზმ, არატექნიკური რეზიუმე, დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გეგმა) საჯაროდ ხელმისაწვდომი დარჩება EBRD-ისათვის საჭირო 60-დღიანი საკონსულტაციო პერიოდის შემდეგაც, სამშენებლო ფაზის დასრულებამდე. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი იქნება ჯორჯია ურბან ენერჯის პროექტის ვებგვერდზე.

დაგეგმილის შეხვადრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თბილისში და ე.წ. 'open house'-ები გადამცემი ხაზის მახლობლად მდებარე დასახლებულ პუნქტებში. არასამთავრობო ორგანიზაციებთან და საზოგადოებასთან კონსულტაციები გაგრძელდება ამ დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგაც.

10 საზოგადოების ინფორმირება

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მექანიზმები შეიძლება მოიცავდეს ადგილობრივი და რეგიონალური არასამთავრობო ორგანიზაციების ინფორმირებას, პრესრელიზებს ადგილობრივ და ნაციონალურ პრესაში, დოკუმენტაციის მიწოდებას გარემის დაცვის და ბუნებრივი რესურსების მთავარ და ადგილობრივ ოფისებში და ადგილობრივი მუნიციპალიტეტების ოფისებში.

ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის უზრუნველსაყოფად საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში (მაღაზიები, აფთიაქები, სხვ.) შეიძლება განთავსდეს საინფორმაციო ბუკლეტები/ფურცლები. საზოგადოება ინფორმირებული იქნება კომპანიასთან 'უკუკავშირის' მექანიზმის შესახებ. დარიგდება საინფორმაციო ფურცლები საკონტაქტო ინფორმაციის და მოსახლეობისგან შემოსულ განაცხადებზე რეაგირების პროცედურის აღწერით. გარდა ამისა, უშუალო ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობა (მიწის მესაკუთრეები) უშუალოდ იქნებიან ინფორმირებული მოსალოდნელი ზემოქმედების, შემოთავაზებული შემარბილებელი ღონისძიებების და კომპენსაციების შესახებ. ამ მიზნით დარიგდება საინფორმაციო ფურცლები მიწის შესყიდვის პროცედურის შესახებ და ჩატარდება ინდივიდუალური შეხვედრები ზემოქმედების ქვეშ მყოფ ჯგუფებთან.

მშენებლობის მსვლელობისას დაინტერესებულ მხარეებს ექნებათ ყოველწლიური ანგარიშების გაცნობის შესაძლებლობა როგორც ვებგვერზე, ასევე საინფორმაციო ბროშურების/ფურცლების საშუალებით. ამასთანავე, როგორც აღინიშნა თავში 8, ჩატარდება შეხვედრები მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან პროექტის მსვლელობის შესახებ მათი ინფორმირებისთვის.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტი შეასრულებს ერთერთი საკონტაქტო პირის როლს საზოგადოებიდან გამოხმაურების მიღებისთვის. GUE-ს საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი წარმომადგენელი მუდმივ კონტაქტს იქონიებს ადგილობრივ ადმინისტრაციასთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან, მიწის შესყიდვის პროცესში ჩატარდება შეხვედრები მიწის მესაკუთრეებთან.

ადგილობრივი მუნიციპალიტეტი გამოვა საზოგადოების მხრიდან გამოხმაურებების ერთერთი მაკორდინირებელი ცენტრის როლში. ჯორჯია ურბან ენერჯის საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელი წარმომადგენელი მუდმივ კონტაქტში იქნება ადგილობრივ მმართველობასთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან ადგილზე.

ოპერირების პროცესში საჭირო ტექნიკური მომსახურების/რემონტის საჭიროების შემთხვევაში ინფორმაცია სამუშაოების წარმოების ადგილის, ტიპის, დაწყების და დასრულების, ხანგრძლივობის შესახებ განთავსდება პროექტის ვებგვერზე, ეცნობება ადგილობრივ ადმინისტრაციას და გავრცელდება საინფორმაციო ფურცლების საშუალებით. ეგზ-ს გასწვრივ მცხოვრები მოსახლეობა წინასწარ იქნება გაფრთხილებული და ეცოდინება გასხვისების ზოლის მოწესრიგების გრაფიკი.


11 რესურსები და პასუხისმგებლობა

GUE საკუთარ თავზე აიღებს სრულ პასუხისმგებლობას ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციებზე პროექტთან დაკავშირებით და გამოიყენებს არსებულ რესურსებს, რათა ეს კონსულტაციები სათანადო სტანდარტების შესაბამისად ჩატარდეს. პროექტის განხორციელების ფაზაზე საზოგადოებასთან ურთიერთობაზე პასუხისმგებელ პერსონალს დაეკისრება პასუხისმგებლობა ადგილობრივ მოსახლეობასთან კავშირზე, საჩივრების დამუშავებასა და მხარეთა შორის წარმოქმნილი დავის მოგვარებაზე. დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის სამუშაოები კოორდინირებაზე პასუხისმგებელი იქნება:

სახელი: ნოდარ კურტანიძე

მისამართი: ჭავჭავაძის ქუჩა 37დ, 0162 თბილისი, საქართველო
 ტელ.: +995 95 251183
 ელ. ფოსტა: info@paravanihpp.com

საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორი პასუხისმგებელი იქნება პროექტის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებაზე; საზოგადოებასთან კონსულტაციებსა და გასაჩივრების პროცედურის მართვაზე (იხ. თავი 12 ქვემოთ). პასუხისმგებლობის დიაგრამა პროექტის არსებობის მთელი პერიოდისათვის ნაჩვენებია ქვემოთ (იხილეთ ნახაზი 11.1.)



ნახაზი 11.1. პასუხისმგებლობის დიაგრამა

12 გასაჩივრების მექანიზმი

GUE-მ შეიმუშავა რიგი მეთოდები საზოგადოებისათვის საჩივრის/ინფორმაციის მიღებაზე განაცხადის შესატანად:

- ვებგვერდი შეიცავს საზოგადოებისგან კომენტარებისა და საჩივრების მიღებისა და დამუშავების სისტემას;
- შეიძლება ასევე შეივსოს გასაჩივრების ფურცელი, თანდართული ფორმით (იხილეთ დანართი 2).

ფორმები დაიდება GUE-ს პროექტის ვებგვერდზე <http://www.paravanihpp.com/> და ხელმისაწვდომი იქნება ადგილობრივი მთავრობის ოფისებში, ასევე იმ ადგილებში, სადაც

დაგეგმილია შეხვედრების მოწყობა დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გრაფიკის შესაბამისად (იხილეთ. დანართი 3).

საზოგადოების მხრიდან შემოსული ნებისმიერი საჩივრის შემოსვლის შემთხვევაში ეს უკანასკნელი დამუშავდება რამდენიმე ეტაპად. განაცხადები ინფორმაციაზე/საჩივრებზე მხედველობაში იქნება მიღებული და იქ, სადაც ეს შესაძლებელია, პასუხი გაიცემა 5 ან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, საჩივრის სირთულის ან მოთხოვნილი ინფორმაციის მოსაგროვებლად დროს საჭიროების შემთხვევაში რეაგირება მოხდება 10-20 დღის მანძილზე საჩივრის/ინფორმაციის მოთხოვნის განაცხადის მიღებიდან.

ყველა საჩივარი აისახება საჩივრების ჟურნალში, რათა უზრუნველყოფილ იქნას ყოველი საჩივრისთვის ინდივიდუალური ნომრის მინიჭება, შემოსული საჩივრის/განაცხადის მსვლელობის კონტროლი და რეაგირება. ჟურნალი გამოყენებულ იქნება საჩივრების სიხშირის, ყველაზე ხშირი პრობლემების და განმეორებადობის ტენდენციების გასაანალიზებლად. ჟურნალი შეიცავს:


- საჩივრის შემოსვლის თარიღს;
- ინდივიდუალურ ნომერს;
- საჩივრის შინაარსს;
- საკითხის გადაჭრაზე პასუხისმგებელი მხარეების განსაზღვრას;
- მოკვლევის დაწყებისა და დასრულების თარიღებს;
- მოკვლევის შედეგებს;
- ინფორმაციას საკითხის გადაჭრისათვის შეთავაზებულ მოქმედებაზე, რომელიც გაეგზავნა მომჩივანს (იმ შემთხვევაში, თუ საჩივარი ანონიმური არ იყო) და პასუხის გაგზავნის თარიღს; საჩივრის დახურვის თარიღს;
- მომჩივანის დაკმაყოფილების განცხადებას, საკითხის გადაწყვეტის შეუძლებლობის მიზეზს;
- გადაუწყვეტელი საჩივრებისთვის - განსახორციელებელი ღონისძიებები.

გასაჩივრების სრული დოკუმენტაცია ინახება საქალაქო 2 წლის განმავლობაში და შემდეგ არქივირება. საჩივრების დონისა და ტიპების მონიტორინგს განახორციელებს GUE. თუ არ არის შესაძლებელი საჩივრის დაკმაყოფილება ზემოხსენებული დროის მონაკვეთში, GUE აცნობებს ამის შესახებ მომჩივანს და მოკვლევის დასრულების შემდეგ მიმართავს მას მოლაპარაკებისა და გამოსავლის მოძებნის მიზნით. GUE-ს შეუძლია ჩაატაროს შემდგომი მონიტორინგი იმის შესამოწმებლად, რომ პრობლემა აღარ განმეორდება.

GUE-ს მიერ ნებისმიერი საჩივრის მართვა და საკითხის გადაჭრა იქნება EBRD-ის მხრიდან მონიტორინგის ობიექტი.

მომჩივანთ შეეძლებათ საკუთარი კონფიდენციალურობის შენარჩუნება (დეტალებისთვის იხილეთ დანართი 2). GUE გარანტირებს, რომ ამ პიროვნებათა სახელი და საკონტაქტო ინფორმაცია არ გამოქვეყნდება მათი თანხმობის გარეშე და ეს მონაცემები ხელმისაწვდომი იქნება მხოლოდ იმ ჯგუფისათვის, რომელიც უშუალოდ მუშაობს საჩივრის შესწავლაზე. თუ შესწავლის პროცესი მოითხოვს მესამე მხარისთვის გარკვეული ინფორმაციის გადაცემას შექმნილი სიტუაციიდან გამოსვლის მიზნით (მაგ. როდესაც აღმოჩნდება, რომ საჩივარი გამოიწვია კონტრაქტორი მხარის გარკვეულმა ქმედებებმა), მომჩივანს სათანადო ფორმით უნდა მიემართოს თანხმობის მოსაპოვებლად. თუ შემსწავლელი ჯგუფისთვის

შეუძლებელია საჩივრის თემაზე სრული გამოძიების ჩატარება პიროვნების მონაცემების გამოაშკარავების გარეშე (მაგ. თუ სასამართლო მათგან მოითხოვს მამტიციებელ საბუთს), შემსწავლელი ჯგუფი მოელაპარაკება მომჩივანს მომდევნო ნაბიჯების შესახებ. პროცედურა ასევე იძლევა ანონიმური გასაჩივრების საშუალებას. ამ შემთხვევაში საჩივრის განხილვა მაინც მოხდება, თუმცა GUE არ შეეძლება ამ საჩივარზე გამომხაურება. პროცედურა გრაფიკულად გამოსახულია ქვემოთა სქემაზე.



ნახაზი 12.1. გასაჩივრების პროცედურა

(მომჩივანი ინფორმირებული იქნება საჩივრის განხილვის ვადის გაგრძელების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში)

დაინტერესებული მხარეების ჩართულობის ეს გეგმა არ ვრცელდება კონტრაქტორის მუშაობასთან დაკავშირებულ საჩივრებზე, თუმცა GUE-ს ეკისრება ზოგადი პასუხისმგებლობა პროექტზე.

13 მონიტორინგი და ანგარიშგება

დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობის გეგმა პერიოდულად განახლდება და შესწორდება პროექტის მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპებზე.

ყოველთვიური მოხსენებები ინციდენტების/საჩივრებისა და მათი გამოსწორების/თავიდან აცილების ქმედებების განხორციელების შესახებ აისახება GUE-ს ყოველწლიურ ანგარიშებში. მესამე მხარეებისადმი (მაგ. მარეგულირებელი სტრუქტურები) ანგარიშგებაზე პასუხისმგებლობა დაეკისრება GUE-ს დირექტორის ბნ. ნოდარ კურტანიძეს. ანგარიშები აგრეთვე წარედგინება EBRD/IFC (მსესხებელს) შეთანხმების შემთხვევაში. ყველა ჩანაწერი ან დოკუმენტი ხელმისაწვდომი იქნება უფლებამოსილი პირის მიერ რევიზიისთვის.

14 საკონტაქტო ინფორმაცია საზოგადოებისთვის

ჯორჯია ურბან ენერჯი (GUE)

საკონტაქტო პირი: ნოდარ კურტანიძე

მისამართი: ჭავჭავაძის ქუჩა 37დ, 0162 თბილისი, საქართველო

ტელ./ფაქსი: + (99532) 251183

ელ. ფოსტა:

ვებგვერდი: www.paravanihpp.com

EBRD London (Business Information Centre)

One Exchange Square

London EC2A 2JN, UK

Tel: +44 20 7338 6747

Fax: +44 20 7338 6155

Website address: <http://www.ebrd.com/projects/eias/index.htm>

EBRD საქართველო

მარჯანიშვილის ქუჩა 6 (მწვანე შენობა, IV - V სართული), 0105 თბილისი.

ტელ.: + 995 32 44 74 00

ფაქსი: +995 32 92 05 12

ვებგვერდის მისამართი: <http://www.ebrd.com/pages/country/georgia.shtml>

დანართი 1. დაინტერესებულ მხარეთა სია (ჰესის და ეგხ-ს კომპონენტები)

საკონტაქტო პირი	საკონტაქტო დეტალები
რესპუბლიკური	
მ. ველიშვილი	მინისტრის მოადგილე, საქართველოს ენერჯეტიკის სამინისტრო ბარათაშვილი 2, 0105 თბილისი; ტელ.: (+995 32) 35 78 00; ფაქსი: (+995 32) 35 78 00/28 ელ. ფოსტა: mail@minenergy.gov.ge
ნ. ჭახნაკია	ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური, გდბრს, მისამართი: გულუას ქუჩა 6, 0114 თბილისი, საქართველო
ნ. ვაჩეიშვილი	მინისტრის მოადგილე, საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო
რეგიონული	
ახალქალაქი	
შ. შირინიანი	ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი
შ. რაისიანი	მშენებლობის სპეციალისტი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი
ნ. კაზარიანი	საკუთრებისა და მიწათსარგებლობის სპეციალისტი, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი
ს. ეზოიანი	მთავარი სპეციალისტი იურიდიულ საკითხებში, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი
ნ. ირიციანი	საკრებულოს თავმჯდომარე, ახალქალაქის მუნიციპალიტეტი
ასპინძა	
ბ. ბექაური	ასპინძის მუნიციპალური მთავრობის თავმჯდომარე
ბ. სანდოძე	ასპინძის მუნიციპალური მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე
ტ. გიგაშვილი	ასპინძის თვითმმართველობის თავმჯდომარის მოადგილე
მ. ხიზაძე	ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი
გ. მაზმიშვილი	ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური, ასპინძის მუნიციპალიტეტი
მ. გიორგაძე	ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური, ასპინძის მუნიციპალიტეტი
კ. ლოლაძე	ასპინძის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი
რ. წიკლაური	ასპინძის მუნიციპალიტეტის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის წამყვანი სპეციალისტი
ს. სუარიძე	ასპინძის მუნიციპალიტეტის
მ. ნარიმანიძე	ასპინძის მუნიციპალიტეტი
მ. მაისურაძე	ასპინძის მუნიციპალიტეტი
გ. მალრაძე	ასპინძის მუნიციპალიტეტი
დ. პაპაშვილი	ასპინძის მუნიციპალიტეტი
ახალციხე	
ზ. ჯინიყაშვილი	ახალციხის მუნიციპალური მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე
რ. კარაპეტიაძე	ახალციხის მუნიციპალური მთავრობის თავმჯდომარის მოადგილე
გ. ქასრაშვილი	გზებისა და ინფრასტრუქტურების სპეციალისტი
ე. მღებრიშვილი	არქიტექტურისა და მშენებლობის სპეციალისტი
დ. ჩაჩანიძე	უფროსი სპეციალისტი, მშენებლობა და სივრცითი დაგეგმარება
სხვა დაინტერესებული მხარეები	
გ. ჯინჭველიძე	აღმასრულებელი დირექტორი, სასოფლო საკონსულტაციო სააგენტო,

	სამცხე-ჯავახეთის მრჩეველის რეგიონული სამსახური, აბასთუმნის გზა, აგრომაღაზია “ფერმერი“, ტელ.: +995 (265) 21 996, +995 (8) 90 461 727; ელ. ფოსტა: office@ras.ge
ა. ჭელიძე	მწვანეთა მოძრაობა, სამცხე-ჯავახეთის ფილიალი, სოფ. უდე, ადიგენის მუნიციპალიტეტი, ტელ.: 799111
გ. ზედგენიძე	მწვანეთა მოძრაობა, ასპინძა, სოფ. ჩობარეთი
გ. იანდიანი	რეფორმებისა და დემოკრატიული განვითარების ხელშეწყობის ცენტრი, ნალბანდიანის ქუჩა, ახალქალაქი
ვ. ავაკიანი	ახალქალაქის ახალგაზრდული კავშირი
მ. მაცუკატოვი	ბიზნეს ცენტრი
ლ. ლევანიანი	სამცხე-ჯავახეთის დემოკრატიული განვითარების ასოციაცია, ჩერემცის 14, ახალქალაქი
დ. ალდგომელაშვილი	ქალები ჯავახეთის მომავლისათვის
ნ. დემირჩიანი	ქალთა კავშირი
ტ. ჩადუნელი	მომხმარებელთა სამსახურის სპეციალისტი, ენერგო-პრო ჯორჯია, სამცხე-ჯავახეთის ფილიალი, სულხან საბას ქუჩა 2, ტელ.: 895 950 958
ნ. ტატეშვილი	თავმჯდომარე, ახალციხის სოციალური განვითარების ცენტრი სამცხე-ჯავახეთში
მ. მოდეზაძე	თავმჯდომარე, დემოკრატიული ქალთა არასამთავრობო საზოგადოება (სამცხე-ჯავახეთის რეგიონი) ტელ.: 899 548344; marinamodebadze@rambler.ru
ა. გრიგორიანი	ახალქალაქის საზოგადოებრივი ასოციაცია, თავისუფლების ქუჩა 8ა, ახალქალაქი ტელ.: 93 33 35 59, ელ. ფოსტა: agris05@mail.ru
ლ. ყავრელაშვილი	საქართველოს ქალთა არასამთავრობო კოალიცია, ტელ.: +995 77 42 50 00
კ. კირაკოსიანი	ენერგო-პრო ჯორჯია, ნალბანდიანის ქუჩა 45, ახალქალაქი, ტელ.: 895 950951
ბ. მელიქაძე	ენერგო-პრო ჯორჯია, ნალბანდიანის ქუჩა 45, ახალქალაქი, ტელ.: 895 951753
მ. იაკობიანი	ენერგო-პრო ჯორჯია, ნალბანდიანის ქუჩა 45, ახალქალაქი, ტელ.: 895 951753
მერაბ ბერიძე	ენერგო-პრო ჯორჯია, თამარ მეფის ქუჩა 1, ტელ.: 895951005
ზ. ზედგენიძე	ასპინძის ფერმერთა კავშირი, ერეკლეს ქუჩა 2, ასპინძა
ჯ. ხოზრევანიძე	ასპინძის კავშირი
ე. სეთურიძე	სოფ. ხერთვისი
მ. წინჭვალაძე	სოფ. ხერთვისი 899 645853
ნ. ბუთხუზი	სოფ. ხერთვისი
გ. ანდლულაძე	დემოკრატიული მესხთა კავშირი, ფარნავაზ მეფის ქუჩა 31, ახალციხე, ტელ.: 826-521223, 899540291
რ. კორშია	მწვანე ჯვარი, იოანე ნებიერიძის ქუჩა 1, ახალციხე, ტელ.:899142577
გ. იანოვა	ბერძენთა რეგიონული კავშირი, კოსტავას ქუჩა 18, ახალციხე, ტელ.: 899148416
ნ. ზუბაშვილი	სამცხე-ჯავახეთის რეგიონული განვითარების სააგენტო, რუსთაველის ქუჩა 25, ახალციხე, ტელ.: 895451911
მ. მოდეზაძე	სამცხე-ჯავახეთის დემოკრატიული ქალთა კავშირი, კოსტავას ქუჩა 109, ახალციხე, ტელ.: 826-521385, 899548344
გ. ათოშვილი	ახალციხის ბიზნესცენტრი, კეცხოველის ქუჩა 1, ახალციხე, ტელ.: 899 1717169
ნ. ზუბაშვილი	სამყარო, რუსთაველის ქუჩა 45, ახალციხე, ტელ.:895451911
მ. სუდაძე	ახალციხის ახალგაზრდული კავშირი, კოსტავას ქუჩა 79, ახალციხე,

	ტელ.: 899 265263
ლ. ნიკაბაძე	ტელემაუწყებელი კომპანია Imperis Canal 9, თამარ მეფის ქუჩა 6, ახალციხე, ტელ.: 899 296648
კ. ჯანიაშვილი	მოზრდილთა განათლების ცენტრი, რუსთაველის ქუჩა 65, ახალციხე, ტელ.: 899928907

ინტერნეტში გამოქვეყნებული ინფორმაცია პროექტის შესახებ

http://www.government.gov.ge	საქართველოს მთავრობის ვებგვერდი
http://www.president.gov.ge	საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალური ვებგვერდი
http://www.georgianurbanenergy.com	ჯორჯია ურბან ენერჯი
http://www.gbw.ge	Georgian Business week
http://www.businessneweurope.eu	Business new Europe
http://www.newsturkey.com	NewsTurkey.com
http://eng.primenewsonline.com/	Prime news
Caucasus press	ქიქოძის ქუჩა 3, თბილისი 380008; ტელ.: (995 32) 98 35 81; 92 29 19 ფაქსი: (995 32) 98 53 57, ელ. ფოსტა: en-edit@caucasus.net

მედიაში დაბეჭდილი ინფორმაცია

24 საათი	მაკა ჯაიანი, ფაქსი: 202 425; ტელ.: 202 424, თბილისი
ასპინძა	ნათელა ცისკარიძე, 770841, 8264/91441, ასპინძა
სამხრეთის კარიბჭე	რიმა ღარიბიანი
არგუმენტები და ფაქტები	პრესაში

დანართი 2. საზოგადოების მხრიდან გასაჩივრების ბროშურა

ჯორჯია ურბან ენერჯის მიზანია, უზრუნველყოს, რომ ფარავანჰესისა და გადამცემი ხაზის მშენებლობამ და ექსპლუატაციამ არ გამოიწვიოს გართულებები საპროექტო ტერიტორიის სიახლოვეში მცხოვრები მოსახლეობისათვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისათვის, რომლებიც პოტენციურად შეიძლება ზემოქმედების ქვეშ მოექცნენ. ზემოხსენებული მიზნის მისაღწევად და გარემოს დაცვისთვის ჩვენ მზად ვართ, მოვისმინოთ პროექტის მოქმედებასთან დაკავშირებით თქვენი ნებისმიერი აზრი და საჩივარი.

რა სახის საჩივარი შემიძლია შემოვიტანო?

საჩივრის შემოტანა შეუძლია ყველას, ვინც თვლის, რომ პროექტის მოქმედება უარყოფით ზემოქმედებას ახდენს მათზე, ადგილობრივ მოსახლეობაზე ან გარემოზე. საჩივარში შეიძლება შედიოდეს, მაგალითად:

- ადგილობრივ მაცხოვრებლებზე უარყოფითი ზემოქმედება (მაგ. ჭარბი მტვერი, ხმაური, სუნი და სხვ.)
- პროექტის მოქმედებით გარემოზე მიყენებული ზიანი
- მომუშავე პერსონალის ან მოსახლეობის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოებისთვის საშიში მოქმედებები
- პროექტში დაკავებული GUE პერსონალის უფლებების დაუცველობა

როგორ შემიძლია საჩივრის შეტანა?

ყველას შეუძლია საჩივრის შეტანა GUE შემდეგი გზით:

- ტელეფონით შემდეგ ნომერზე: +(995 32) 251 183
- ელ. ფოსტით შემდეგ მისამართზე: info@paravanihpp.com
- ვებგვერდზე: www.paravanihpp.com
- პირადად: ნოდარ კურტანიძე, ჭავჭავაძის ქუჩა 37დ, 0162 თბილისი, საქართველო
- თანდართული საჩივრის ფორმის შევსებითა და გაგზავნით/საფოსტო ყუთში ჩაგდებათ ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ნებისმიერ მისამართზე:
 - ჯორჯია ურბან ენერჯი, ჭავჭავაძის ქუჩა 37დ, 0162 თბილისი, საქართველო
 - ასპინძის მუნიციპალიტეტი, თამარ მეფის ქუჩა 3, ასპინძა
 - ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, ჩერენცის ქუჩა 11, ახალქალაქი
 - ახალციხის მუნიციპალიტეტი, მერაბ კოსტავას ქუჩა 18, ახალციხე

როგორ რეაგირებას მოახდენს GUE ჩემს საჩივარზე?

თქვენი საჩივარზე რეაგირების მიზნით ჯორჯია ურბან ენერჯი შემდეგ ნაბიჯებს გადადგამს:

ნაბიჯი 1: საჩივრის მიღების დადასტურება: ჯორჯია ურბან ენერჯი დაგიკავშირდებათ დასადასტურებლად და თუ შესაძლებელია, პრობლემის გადასაჭრელად შემდეგ ვადებში:

სადაც ეს შესაძლებელია, პასუხი გაიცემა 5 ან 10 სამუშაო დღის განმავლობაში, საჩივრის სირთულის ან მოთხოვნილი ინფორმაციის მოსაგროვებლად დრის საჭიროების შემთხვევაში რეაგირება მოხდება 10-20 დღის მანძილზე საჩივრის/ინფორმაციის მოთხოვნის განაცხადის მიღებიდან.

ამ დადასტურებაში შევა თქვენი საჩივრის ნომერი, ჯორჯია ურბან ენერჯის მხრიდან თქვენ საჩივარზე რეაგირებისათვის პასუხისმგებელ პირთა ვინაობა, მათი საკონტაქტო მონაცემები და თქვენი საჩივრის საგანზე მოკვლევის დასრულების სავარაუდო თარიღი (საჭიროების შემთხვევაში).

ნაბიჯი 2: მოკვლევა: ჯორჯია ურბან ენერჯი დაიწყებს მოკვლევას თქვენი საჩივრის მიხედვით. ამ მოკვლევის მსვლელობისას ჩვენ შესაძლოა თქვენთან დაკავშირება დაგვჭირდეს. ჯორჯია ურბან ენერჯი შეეცდება დაასრულოს მოკვლევა მომდევნო 20 სამუშაო დღის განმავლობაში.

ნაბიჯი 3: საჩივრის დაკმაყოფილება: ჩვენს მიერ თქვენი საჩივრის საგნის მოკვლევის შემდეგ ჩვენ მოგმართავთ თქვენ და მოგაწვდით მოკვლევის შედეგებსა და ჩვენს მიერ შემოთავაზებულ გადაწყვეტას. თუ ჩვენი მოკვლევის შედეგად აღმოჩნდება, რომ საჩივარი არ უკავშირდება პროექტის მოქმედებას, ან რომ ჯორჯია ურბან ენერჯი მუშაობს ეროვნული და საერთაშორისო ნორმების ფარგლებში თქვენს საჩივარში მოხსენიებულ საკითხში, ჩვენ მოგაწვდით ამის შესახებ წერილობით განმარტებას. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ შემოგთავაზებთ საჩივრის დაკმაყოფილების გზებს. თუ ჩვენი პასუხი და რეაგირება თქვენ გაკმაყოფილებთ, ჩვენ გთხოვთ, ხელი მოაწეროთ განცხადებას დაკმაყოფილების შესახებ, თუ თქვენ ამის სურვილი გექნებათ. თუ თქვენ არ გაკმაყოფილებთ ჩვენი პასუხი, ჩვენ განვაგრძობთ თქვენთან მოლაპარაკებებს საჩივრის დასაკმაყოფილებლად სხვა გზების მონახვის მიზნით.

ნაბიჯი 4 მომდევნო ზომები: შესაძლოა, ჯორჯია ურბან ენერჯი დაგიკავშირდეთ მომდევნო ეტაპზე, რათა გადაამოწმოს, ხომ არ იწვევს ჩვენი მუშაობა რაიმე დამატებით სირთულეებს.

კონფიდენციალურობა: თუ თქვენ გსურთ თქვენი საჩივრის კონფიდენციალურობის შენარჩუნება, ჯორჯია ურბან ენერჯი გარანტირებს, რომ თქვენი ვინაობა და საკონტაქტო მონაცემები არ გახმაურდება თქვენი თანხმობის გარეშე და ისინი მხოლოდ თქვენი საჩივრის საგნის შესწავლაზე უშუალოდ მომუშავე გუნდისთვის იქნება ხელმისაწვდომი. თუ გუნდისათვის შეუძლებელია საჩივრის საგნის სრული მოკვლევის ჩატარება თქვენი ვინაობის გახმაურების გარეშე (მაგალითად, თუ საჭიროა სასამართლოში თქვენს მიერ ჩვენების მიცემა), მომკვლევნი გუნდი მოილაპარაკებს თქვენთან იმის თაობაზე, თუ როგორ გსურთ მოიქცეთ.

ანონიმურობა: თუ თქვენ გსურთ, შეგიძლიათ ანონიმური საჩივრის შეტანა თანდართულ ფორმაში თქვენი ვინაობისა და საკონტაქტო მონაცემების შევსების გარეშე. საჩივარი ამ შემთხვევაშიც იქნება შესწავლილი, თუმცა ჯორჯია ურბან ენერჯისთვის უფრო რთული იქნება მოკვლევის ჩატარება და მას არ ექნება თქვენთვის ჩვენს მიერ ჩატარებული მოკვლევის შესახებ ინფორმაციის მოწოდება.

საზოგადოების მხრიდან გასაჩივრების ფორმა

საჩივრის ნომერი [(ივსება ჯორჯია ურბან ენერჯის მიერ)]:			
საკონტაქტო მონაცემები	სახელი:		
	მისამართი:		
	ტელ.:		
	ელ. ფოსტა:		
რა ფორმით ამჯობინებთ, რომ დაგიკავშირდნენ? გთხოვთ, მონიშნოთ უჯრედი	ფოსტით	ტელეფონით	ელ. ფოსტით
სახელი და პირადი ინფორმაცია (პირადობის მოწმობიდან). [ითვლება სავალდებულოდ – უნდა დადასტურდეს]			
დაწვრილებითი ინფორმაცია თქვენი საჩივრის შესახებ. გთხოვთ სათანადოდ აღწეროთ პრობლემები, ვის შეემთხვა, როდის, სად და რამდენჯერ.			
რას შემოგვთავაზებდით თქვენი საჩივრის დასაკმაყოფილებლად?			
როგორ მივაწოდოთ ეს ფორმა GUE-ს	ფოსტით: ჭავჭავაძის ქუჩა 37დ, 0162 თბილისი, საქართველო		
	საფოსტო ყუთში ჩაშვებით: ჭავჭავაძის ქუჩა 37დ, 0162 თბილისი, საქართველო		
	ელ. ფოსტით: გთხოვთ გამოგვიგზავნოთ თქვენი საჩივარი ელ.		

	ფოსტით, საჩივრის დაკმაყოფილების თქვენეული ვარიანტი და თქვენთვის ხელსაყრელი საკონტაქტო დეტალები: info@paravanihpp.com		
ხელმოწერა		თარიღი	

დანართი 3. დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების გრაფიკი

	დაინტერესებული მხარე	თარიღი და დრო	ადგილი
1	მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ყველა დაინტერესებული მხარე	26 ოქტომბერი, 2009. 11:00	მუნიციპალიტეტის შენობა: თამარ მეფის ქუჩა 3, ასპინძა
2	მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ყველა დაინტერესებული მხარე	26 ოქტომბერი, 2009. 13:00	მუნიციპალიტეტის შენობა: ჩერენცის ქუჩა 3, ახალქალაქი
3	მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ყველა დაინტერესებული მხარე	18 იანვარი, 2011, 11:00	მუნიციპალიტეტის შენობა: თამარ მეფის ქუჩა 3, ასპინძა
4	მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, ყველა დაინტერესებული მხარე	18 იანვარი, 2011, 13:00	მუნიციპალიტეტის შენობა: კოსტავას ქუჩა 18, ახალციხე
5	გადამცემი ხაზის მარშრუტის მიმდებარე მიწის მესაკუთრეები	პირისპირ შეხვედრა გადამცემი ხაზის მარშრუტის დაპროექტების პროცესში	ასპინძა, იდუმალა, ჩიხორეში, აგარა, ხიზაბაგრა, სარო
6	შეხვედრა არასამთავრობო ორგანიზაციებთან თბილისში	აპრილი 2011, ზუსტი თარიღი შეთანხმდება	შეხვედრის ჩატარების ადგილი შეთანხმდება

დანართი 4. ფარავნის ჰესი პროექტი - საჯარო განხილვის ოქმები

ფარავანჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის სხდომის ოქმი

ასპინძა

26.10. 2009 წელი

2009 წლის 26 ოქტომბერს, 11 საათზე, დაბა ასპინძაში, მუნიციპალიტეტის შენობაში (თამარის ქ. №3), ჩატარდა შპს “ჯორჯიან ურბან ენერჯი“-ს ობიექტის, ფარავანჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. (დამსწრეთა სია საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით თან ერთვის, დანართი 4.1.1).

შპს “ჯორჯიან ურბან ენერჯი“-ს გენერალურმა დირექტორმა ნოდარ კურტანიძემ მოკლედ მიმოიხილა მდინარე ფარავანზე 85 მვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები და მათი შესრულების ვადები. მშენებლობა ხორციელდება ახალქალაქის და ასპინძის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე. როგორც მომხსენებელმა აღნიშნა პროექტი შემუშავებულია ფრანგული კომპანიის Coyne & Bellier-ის მიერ.

ჰესის ჰიდროტექნიკური ნაგებობები განთავსდება მდინარე ფარავანზე, კორხისწყლის შესართავიდან 150 მ-ში, ფარავნის ტბიდან 53 კმ-ს დაშორებით. ძალური კვანძი - მდ.ფარავნის მდ.მტკვართან შესართავიდან 1.5კმ-ში, სოფ.ხერთვისიდან 700მ დაშორებით. მან აღნიშნა, რომ პროექტით დაგეგმილია კაშხლის, წყალმიმღების, სალექარის, სადერივაციო გვირაბის, სადაწნეო მილსადენის, ჰესის შენობის და ქვესადგურის მშენებლობა. აღნიშნულის გარდა მოხდება გზების მოწყობა-მოწესრიგება. სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება 4 წლის განმავლობაში. მაქსიმალური წყალაღება შეადგენს 25 მ³, უზრუნველყოფილი იქნება სანიტარული ხარჯის დაცვა. ჰესი შეუერთდება ასპინძის ქვესადგურს. მშენებლობის დროს დასაქმდება 200, ობიექტის ოპერირებისას კი 25 ადამიანი. პრიორიტეტი მიეცემა ადგილობრივი მუშახელის დასაქმებას. კომპანიამ უკვე დაიწყო შესაბამისი კვალიფიკაციის ადგილობრივი სპეციალიტების ძებნა. შერჩეულ პერსონალისთვის კომპანია უზრუნველყოფს შესაბამის ტრენინგს. მშენებლობის დაწყება ნავარაუდევია 2009 წლის დეკემბრის პირველ დეკადაში.

ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების ანგარიში დამუშავებულია შპს სამეცნიერო-კვლევითი ფირმა “გამა“-ს მიერ. ანგარიში მომზადდა საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით.

საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საპრეზენტაციო მასალა, დამსწრეთ წარუდგინა სამეცნიერო-კვლევითი ფირმა “გამა“-ს პრეზიდენტმა ვ.გვახარამ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამეცნიერო-კვლევითი ფირმა "გამა"-ს ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა ჰესის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაცია. შეგროვდა და ტერიტორიის დათვალიერების/შესწავლისას დაზუსტდა ინფორმაცია გარემოს არსებული ფონური მდგომარეობის შესახებ. განისაზღვრა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები, მოხდა მათი თვისობრივი და რაოდენობრივი დახასიათება, განისაზღვრა ნეგატიური ზემოქმედების თავიდან

აცილების გზები და ნარჩენი ზემოქმედება შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემდეგ.

მომიებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, საქართველოს კანონებისა და „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მოთხოვნების შესაბამისად, მომზადდა დაგეგმილი საქმიანობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის თაობაზე ინფორმაცია გამოქვეყნებული იყო ცენტრალურ (“24 საათი”) და ადგილობრივ (“სამხრეთის კარიბჭე” და “ასპინძა”) პრესაში. პროექტის შესახებ ინფორმაციის მიღება და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის სამუშაო ვერსიის გაცნობა შესაძლებელი იყო ახალქალაქის და ასპინძის გამგეობის შენობებში, შპს “ჯორჯიან ურბან ენერჯი“-ს და “გამა“-ს ოფისებში თბილისში. ინფორმაცია აგრეთვე განთავსდა შპს “ჯორჯიან ურბან ენერჯი“-ს ვებგვერდზე.

დაინტერესებულ მხარეებს საშუალება ჰქონდათ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები წარმოედგინათ შპს “ჯორჯიან ურბან ენერჯი“-ს ადმინისტრაციებში და/ან სამეცნიერო-კვლევით ფირმა “გამა“-ს ოფისში.

დასკვნის სახით აღინიშნა, რომ ობიექტის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე მნიშვნელოვანი ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელია მხოლოდ ავარიული სიტუაციების შემთხვევებში. მშენებლობის პროცესში ყველა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ზომების დაცვის და სამტატო რეჟიმში ფუნქციონირების დროს კი შესაბამისი შემარბილებელი ზომების გატარების პირობებში შესაძლებელია ნეგატიური ზემოქმედების მინიმიზაცია.

გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების მინიმიზაციისათვის მნიშვნელოვანია დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების გზშ-ის ანგარიშში მოცემული შემარბილებელი ზომების გათვალისწინებით შესრულება, რის შემდეგაც მიღწეული იქნება ობიექტის საიმედო და უსაფრთხო ექსპლუატაციის პირობები.

საჯარო განხილვის ჩატარების მომენტისთვის შენიშვნები და წინადადებები წარმოდგენილი იქნა მხოლოდ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ, რომელთა დიდი ნაწილი გათვალისწინებულია და შეტანილია დოკუმენტის საბოლოო, სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარსადგენ ვერსიაში.

დამსწრეთა მიერ დასმული შეკითხვები ეხებოდა ჰესის გამონამუშევარი წყლის სარწყავად გამოყენების შესაძლებლობის საკითხს, ადგილობრივი მოსახლეობისთვის ელექტროენერჯიაზე შეღავათიანი ტარიფის დაწესების შესაძლებლობის შესახებ. აღინიშნა მდინერეების შესართავთან მდებარე ნაკვეთების დატბორვის პრობლემა და დაისვა საკითხი მდინარე ფარავნის ხარჯის შეცვლის (ენერგოგენერაციის მიზნით გამოყენებისას) შემთხვევაში სიტუაციის შესაძლო გაუარესების შესახებ.

საჯარო განხილვის პერიოდში შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართში 4.1.2.

დანართი 4.1.1

ფარავანჭვის მშენებლობის და ექსპლუატაციის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის დამსწრეთა სია

26.10.2009

ასპინძა	გვარი, სახელი	ორგანიზაცია, თანამდებობა	საკონტაქტო ინფორმაცია
1	ჭელი სხედი	საინჟინრო-კონსტრუქციის განყოფილება (საქართველო)	899 16 93 31
2	შავეია ნიკაძე	ეკონომიკის და სტატისტიკის ეროვნული სამსახური	899-92 47 90
3	ქაჯავაძე თეონა	ეკონომიკის და სტატისტიკის ეროვნული სამსახური (ანტიკორუფციის განყოფილება)	899-777 724
4	შენიჭიანი ნინო	ეკონომიკის და სტატისტიკის ეროვნული სამსახური	899-57 90 95
5	ბოსტანიანი ნინო	"—" (ანტიკორუფციის განყოფილება)	855-588 072
6	ბოსტანიანი ნინო	ეკონომიკის და სტატისტიკის ეროვნული სამსახური	899-91 89 57
7	ჭელი სხედი	საინჟინრო-კონსტრუქციის განყოფილება (საქართველო)	899-40-24-50
8	ბოსტანიანი ნინო	საინჟინრო-კონსტრუქციის განყოფილება (საქართველო)	89194-25-63
9	ბოსტანიანი ნინო	სსს რეპროდუქციის განყოფილება	
10	ბოსტანიანი ნინო	სსს რეპროდუქციის განყოფილება	

	გვარი, სახელი	ორგანიზაცია, თანამდებობა	საკონტაქტო ინფორმაცია
11	გ. კახიანი	სამსახურის უფროსი პარავანი მუნიციპალიტეტის საქმეთაღმსრებელი	877 599 182
12	მამუკა მამუკაძე	საქმეთაღმსრებელი სამსახურის უფროსი საქმეთაღმსრებელი სამსახურის უფროსი	8(93) 72 85 91 35 78 22 merito-arabidzoi@minenergy.gov.ge
13	მამუკა მამუკაძე	სამსახურის უფროსი სამსახურის უფროსი სამსახურის უფროსი	891918864 890918864
14	მამუკა მამუკაძე	სსს. მ. მ. სამსახურის უფროსი	
15	მამუკა მამუკაძე	სსს. მ. მ. სამსახურის უფროსი	899 156839

დანართი.4.1.2.

ინფორმაცია

შპს “ჯორჯიან ურბან ენერჯი”-მ მიერ მდ.ფარავანზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის პერიოდში შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ

N	შენიშვნების და წინადადებების ავტორები	შენიშვნების და წინადადებების შინაარსი	პასუხი
1	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური	წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში ახალქალაქის მეტეოროლოგიური სადგურის დაკვირვებების ანალიზის საფუძველზე მოცემულია ატმოსფერული ნალექების სეზონური პროცენტული განაწილება, რომელიც არ ემთხვევა გრაფიკზე მოცემულ განაწილებას.	შენიშვნა გათვალისწინებულია
2	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური	სოფ. ფოკას სიმაღლე, საიდანაც სათავეს იღებს მდ. ფარავანი 2080 მ-ია ზღვის დონიდან და არა 1800 მ, როგორც მითითებულია ანგარიშში.	შენიშვნა გათვალისწინებულია
3	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური	გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში გათვლილია მანვნი გამონაფრქვევები, მოცემულია დიფერენცირებულად გაფრქვევის წყაროების მონაცემები. გამონაფრქვევთა სრულად განსაზღვრისათვის უნდა იყოს წარმოდგენილი ინერტული მასალებისა და ბეტონის წარმოების მოწყობილობის სამშენებლო მოძრავი სპეცტექნიკისა და ავტოტრანსპორტის ტექ. მომსახურება-შეკეთების, სარეზერვო ენერჯის წყაროების სრული ტექნიკური პარამეტრები.	იმის გათვალისწინებით, რომ სამშენებლო სამუშაოები შესრულდება ტენდერის საფუძველზე შერჩეული კონტრაქტორის მიერ, ამ ეტაპზე არ არსებობს ზუსტი მონაცემები ინერტული მასალებისა და ბეტონის წარმოების მოწყობილობის სამშენებლო მოძრავი სპეცტექნიკისა და ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურება-შეკეთების, სარეზერვო ენერჯის წყაროების სრული ტექნიკური პარამეტრების შესახებ. ეს ინფორმაცია დადგინდება კონტრაქტორის განსაზღვრის შემდეგ. ანგარიშში მოცემული ემისიების გათვლა მოხდა გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ მიღებული მეთოდის შესაბამისად. ემისიები შეფასდა ყველაზე უარესი სცენარის

			შემთხვევისთვის (ყველა მანქანა-მოწყობილობის ერთდროული მუშაობის პირობების შემთხვევისთვის).
5	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური	წარმოდგენილი დოკუმენტში უნდა იყოს განხილული წყალგამყოფა მშენებლობის და ფუნქციონირების სტადიაში იმ მოწყობილობების პარამეტრების მითითებით, რომლებიც მოიხმარებენ ტექნოლოგიურ წყალს.	იმის გათვალისწინებით, რომ სამშენებლო სამუშაოები შესრულდება ტენდერის საფუძველზე შერჩეული კონტრაქტორის მიერ, ამ ეტაპზე არ არსებობს ზუსტი მონაცემები იმ მოწყობილობების შესახებ, რომლებიც მოიხმარენ ტექნოლოგიურ წყალს. მოცემულია მიახლოებითი შეფასება. ექსპლუატაციის ეტაპზე ტექნოლოგიური წყლის გამოყენება არ ხდება.
6	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური	გვ.104-109-ზე სრულად უნდა იყოს წარმოდგენილი ინფორმაცია ჩამდინარე წყლების მოსალოდნელი წარმოქმნის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის სტადიაში.	შენიშვნა გათვალისწინებულია. ინფორმაცია მოცემულია თავში 5.6.1.2
7	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური	გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში განხილულია ჰესის მშენებლობისას სამშენებლო ბანაკის მოწყობა (საწყობი, ავტობაზა, სარემონტო სახელოსნო და საცხოვრებელი კემპები). ანგარიშში უნდა იყოს სრული ინფორმაცია ბანაკების წყალმომარაგებისა და კანალიზაციის საკითხებზე, კერძოდ: <ul style="list-style-type: none"> • სასმელ-სამეურნეო და საწარმოო დანიშნულებით გამოყენებული წყლის ხარჯები; • ჩამდინარე წყლის ჩაშვების წერტილები, რაოდენობა და ხარისხი; • ჩაშვებული ჩამდინარე წყლების გაწმენდის მეთოდები. 	შენიშვნა გათვალისწინებულია. ინფორმაცია მოცემულია თავში 5.6.1.2
8	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების	წარმოდგენილ ანგარიშში უნდა იყოს კონკრეტული ინფორმაცია სადრენაჟის სისტემების არსებობაზე, დრენაჟული წყლების შეგროვება-გაწმენდის მეთოდების შესახებ, აგრეთვე დრენაჟულ წყლებში დამაბინძურებელი ნივთიერებების	შენიშვნა გათვალისწინებულია, ინფორმაცია მოცემულია თავში 5.6.1.2

	სამსახური	შემადგენლობაზე, რაც მნიშვნელოვანია ზედაპირული წყლების (მდინარეების) დაბინძურების თავიდან აცილების თვალსაზრისით.	
9	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური	გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში უნდა იყოს ინფორმაცია სამშენებლო მოედნებიდან (ავტობაზებიდან) ჩაშვებული ჩამდინარე წყლების რაოდენობის, შემადგენლობის და გამწმენდი ნაგებობის არსებობის (ნავთობდამჭერი) შესახებ.	შენიშვნა გათვალისწინებულია ინფორმაცია მოცემულია თავში 5.6.1.2
10	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური	წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშიდან ირკვევა, რომ ტექნიკური მიზნებისათვის გამოიყენება მდ. მტკვარისა და მდ. ფარავნის წყლები, ხოლო ჩამდინარე ტექნიკური წყალი (წარმოქმნილი საბურღი სამუშაოების დროს და სხვა) დროებითი გამწმენდი ნაგებობის შემდეგ ჩაშვებული იქნება მდინარეებში. უნდა იყოს ინფორმაცია გამოყენებული წყლის ხარჯებზე, გამწმენდი ნაგებობის ტიპზე, შესაბამისად ჩაშვებული ჩამდინარე წყლის რაოდენობაზე და დამაბინძურებელი ნივთიერებების შემადგენლობაზე.	შენიშვნა გათვალისწინებულია ინფორმაცია მოცემულია თავში 5.6.1.2
11	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური	გვ. 21 პუნქტი 5.1.4-ში აღნიშნულია, რომ წყალმიმღების შემდეგ წყალი შედის სალექარში, საიდანაც დაგროვილი ნატანი ჩაირეცხება მდინარეში. უნდა იყოს განხილული მდინარეში ჩაშვებული დამაბინძურებელი წყლის რაოდენობა და დამაბინძურებელი ნივთიერებების შემადგენლობა.	სალექარის დანიშნულებასა მდინარის ბუნებრივი ნატანის დალექვა ტურბინების დაზიანების თავიდან აცილების მიზნით. სალექარიდან ნალექის მოცილება საჭირო იქნება წელიწადში ერთხელ ან ორჯერ. სალექარის რეცხვის პროცესში იხსნება გამრეცხი ფარი და მდინარის წყლით ხდება ნალექის ჩარეცხვა. ამ პროცესისათვის საჭირო წყლის რაოდენობა პროექტის მიხედვით ნორმირებული არ არის. უხეში გაანგარიშებით წყლის რაოდენობა იქნება 400-500 მ ³ . სალექარში დაგროვილი ნალექის მავნე ნივთიერებებით დაბინძურება ნაკლებ სავარაუდოა, რადგან სათაო

			<p>ნაგებობაზე რაიმე დაბინძურების წყარო არ არსებობს. სალექარში გროვდება მხოლოდ მდინარის წყალში არსებული 0,3 მმ-ზე მეტი დიამეტრის შეწონილი ნაწილაკები. აღნიშნულის გათვალისწინებით სალექარის გარეცხვის პროცესში ადგილი ექნება მდინარის წყლის სიმღვრივის მომატებას. ზემოქმედება მოკლევადიანია და გაგრძელდება მხოლოდ 2-3 საათის განმავლობაში.</p>
12	<p>საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური</p>	<p>ყველა სახის ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილებისათვის უნდა იყოს შემუშავებული და სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენილი ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებული დამაბინძურებელი ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმები.</p>	<p>ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში წარდგენილი იქნება ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარსადგენ დოკუმენტაციასთან ერთად.</p>
<p>საჯარო განხილვის დროს დასმული შეკითხვები</p>			
1	<p>იური ზაზაძე, სოფ. ხერთვისის სპეციალისტი</p>	<p>თუ შესაძლებელია ჰესის გამოწვევით წყლის ნაწილის ტერასების მოსარწყავად გამოყენების ნებართვის მიღება.</p>	<p>ნ.კურტანიძე, 'ჯორჯიან ურბან ენერჯი'-ს გენერალური დირექტორი: კომპანიას დაგეგმილი აქვს მთელი რიგი სოციალური პროგრამის განხორციელება. არსებობს წყლის წისქვილის და საკალმახის მშენებლობის გეგმები. სარწყავად წყლის გამოყენების შესაძლებლობაც გამორიცხული არ იქნება. შესაძლებელია ამ საკითხის განხილვაც.</p>
2	<p>მამუკა ხიზაძე, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი იური ზაზაძე, სოფ. ხერთვისის, წამყვანი სპეციალისტი</p>	<p>წყალუხვობის დროს ხდება მდ.ფარავნის და მდ.მტკვრის შესართავთან, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარე ნაკვეთების დატბორვა. ხომ არ გამოიწვევს პროექტი დატბორვის რისკის ზრდას მდ.ფარავნის წყლის ნაწილის შესართავიდან ზევით 'ჩაშვების' შედეგად მდ.ფარავნის მიერ „ბუნებრივი ჯებირის“ ფუნქციის შესუსტებით.</p>	<p>ვახტანგ გვახარია, ფორმა 'გამა'-ს პრეზიდენტი: საკითხი დაზუსტებული იქნება ჰიდროლოგებთან. გაკეთდება შესაბამისი რეკომენდაციები.</p>
3	<p>ბორის ნარიშანიძე, ეკონომიკური სამსახურის უფროსი</p>	<p>თუ დაწესდება რაიმე შეღავათი დენის გადასახადზე ადგილობრივი მოსახლეობისთვის.</p>	<p>ნ.კურტანიძე, 'ჯორჯიან ურბან ენერჯი'-ს გენერალური დირექტორი: აღნიშნული საკითხი კომპანიის უფლებამოსილებას</p>

			<p>სცილდება. მარიტა არაბიძე, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს მთავარი სპეციალისტი: სამინისტრო არ აწესებს ტარიფს. სადისტრიბუციო კომპანია კერძოა, და რაიმე შეღავათის დაწესება მხოლოდ მისი კეთილი ნება შეიძლება იყოს.</p>
4		<p>ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობა</p>	<p>ნ.კურტანიძე, 'ჯორჯიან ურბან ენერჯი'-ს გენერალური დირექტორი: უნდა განისაზღვროს მუშათა კატეგორია. ცხადია დასაქმდება ადგილობრივი მუშახელი, უპირველეს ყოვლისა, უახლოესი სოფლების მაცხოვრებლები. კომპანია უკვე დაუკავშირდა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს რეგიონიდან ჩამოსული სტუდენტების მოძებნის მიზნით. პერსონალისთვის დაგეგმილია ტრენინგის ჩატარება, მივლინება აღჭურვილობის მწარმოებელ კომპანიაში და სხვ. შესაძლებელია 3-4 მაღალი კვალიფიკაციის სპეციალისტის მოწვევა.</p>

ფარავანჭესის მშენებლობის და ექსპლუატაციის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის სხდომის ოქმი

ახალქალაქი

26.10. 2009 წელი

2009 წლის 26 ოქტომბერს, 13 საათზე, ქ. ახალქალაქში, მუნიციპალიტეტის შენობაში (ჩერენცის ქ. №11), ჩატარდა შპს “ჯორჯიან ურბან ენერჯი“-ს ობიექტის, ფარავანჭესის მშენებლობის და ექსპლუატაციის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. (დამსწრეთა სია საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით თან ერთვის, დანართი.4.2.1.)

შპს “ჯორჯიან ურბან ენერჯი“-ს გენერალურმა დირექტორმა ნოდარ კურტანიძემ მოკლედ მიმოიხილა მდინარე ფარავანზე 85 მვტ სიმძლავრის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები და მათი შესრულების ვადები. მშენებლობა ხორციელდება ახალქალაქის და ასპინძის მუნიციპალიტეტების ტერიტორიაზე.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა ჰესის ჰიდროტექნიკური ნაგებობები განთავსდება მდინარე ფარავანზე, კორხისწყლის შესართავიდან 150 მ-ში, ფარავნის ტბიდან 53 კმ-ს დაშორებით. ძალური კვანძი - მდ.ფარავნის მდ.მტკვართან შესართავიდან 1.5კმ-ში, სოფ.ხერთვისიდან 700მ დაშორებით. პროექტით დაგეგმილია კაშხლის, წყალმიმღების, სალექარის, სადერივაციო გვირაბის, სადაწნეო მილსადენის, ჰესის შენობის და ქვესადგურის მშენებლობა. აღნიშნულის გარდა მოხდება გზების მოწყობა-მოწესრიგება. სამშენებლო სამუშაოები გაგრძელდება 4 წლის განმავლობაში. მშენებლობის დროს დასაქმდება 200, ობიექტის ოპერირებისას კი 25 ადამიანი.

ნ.კურტანიძემ აღნიშნა, რომ საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების ანგარიში მომზადდა შპს სამეცნიერო-კვლევითი ფირმა “გამა“-ს მიერ.

დაგამილი პროექტის (მშენებლობის და ექსპლუატაციის ეტაპების) გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საპრეზენტაციო მასალა დამსწრეთ წარუდგინა სამეცნიერო-კვლევითი ფირმა “გამა“-ს ექსპერტმა თ.ლალაძემ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამეცნიერო-კვლევითი ფირმა "გამა"-ს ექსპერტების მიერ შესწავლილი იქნა ჰესის მშენებლობის საპროექტო დოკუმენტაცია. შესწავლილი იქნა, ასევე გარემოს არსებული ფონური მდგომარეობა. ინფორმაცია დაზუსტდა ტერიტორიის აუდიტის დროს. განისაზღვრა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების წყაროები, სახეები და ობიექტები, მოხდა მათი თვისობრივი და რაოდენობრივი დახასიათება, განისაზღვრა ნეგატიური ზემოქმედების თავიდან აცილების გზები.

თ.ლალაძემ აღნიშნა, რომ გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების მინიმიზაციისათვის მნიშვნელოვანია დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების გზშ-ის ანგარიშში მოცემული შემარბილებელი ზომების გათვალისწინებით შესრულება, რის შემდეგაც მიღწეული იქნება ობიექტის საიმედო და უსაფრთხო ექსპლუატაციის პირობები.

ითქვას, რომ საწარმოს მშენებლობა-ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე მნიშვნელოვანი ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელია მხოლოდ ავარიული სიტუაციების შემთხვევებში. საშტატო რეჟიმში მუშაობის დროს, ორივე ეტაპზე, კი შესაბამისი შემარბილებელი ზომების გატარების პირობებში შესაძლებელია ნეგატიური ზემოქმედების მინიმიზაცია.

ყურადღება გამახვილდა ობიექტის მშენებლობის ეკონომიკურ, სოციალურ და პოლიტიკურ მნიშვნელობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესში მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს კანონებისა და „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მოთხოვნების შესაბამისად, მომზადდა დაგეგმილი საქმიანობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში. ანგარიშის საჯარო განხილვის თაობაზე ინფორმაცია გამოქვეყნდა ცენტრალურ (“24 საათი”) და ადგილობრივ (“სამხრეთის კარიბჭე” და “ასპინძა”) პრესაში.

პროექტის შესახებ ინფორმაციის მიღება და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის სამუშაო ვერსიის გაცნობა შესაძლებელი იყო ახალქალაქის და ასპინძის გამგეობის შენობებში, შპს “ჯორჯიან ურბან ენერჯი“-ს და “გამა“-ს ოფისებში თბილისში. ინფორმაცია აგრეთვე განთავსდა შპს “ჯორჯიან ურბან ენერჯი“-ს ვებგვერდზე.

დაინტერესებულ მხარეებს საშუალება ჰქონდათ შენიშვნები და წინადადებები წარმოედგინათ შპს “ჯორჯიან ურბან ენერჯი“-ს ადმინისტრაციებში და/ან სამეცნიერო-კვლევით ფირმა “გამა“-ს ოფისში.

აღინიშნა, რომ საჯარო განხილვის ჩატარების მომენტისთვის შენიშვნები და წინადადებები წარმოდგენილი იქნა მხოლოდ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ, რომელთა დიდი ნაწილი გათვალისწინებულია და შეტანილია დოკუმენტის საბოლოო, სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარსადგენ ვერსიაში.

საჯარო განხილვის დროს დამსწრეებს დაურიგდათ მოკლე ინფორმაცია დაგეგმილი პროექტის შესახებ (რუსულ ენაზე).

საზოგადოების ძირითადი შეკითხვები ეხებოდა ეკოსისტემებზე (კერძოდ იქტიოფაუნაზე), მიწისქვეშა წყლებზე ობიექტის ზემოქმედების და მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების შესაძლებლობას. დაისვა ელექტროენერჯიის გაყიდვაზე კომპეტენციის და მოსახლეობისთვის შესაძლო შეღავათების დაწესების საკითხი. გამგებელმა ყურადღება გაამახვილა სეისმური კვლევების მნიშვნელობაზე - დაინტერესდა ამ მიმართულებით ჩატარებული კვლევის შედეგებით და დასკვნებით. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის ‘ეკო-207’ ხელმძღვანელმა გამოთქვა მზადყოფნა პროექტის მიმდინარეობის პროცესის მონიტორინგში მონაწილეობის მიღებაზე.

შეხვედრას ესწრებოდა ადგილობრივი ტელევიზიის გადამღები ჯგუფი. საჯარო განხილვის პერიოდში შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართში 4.2.2.

ღამართი 4.2.1.

Список участников общественного слушания отчета -
«Оценка воздействия на природную и социальную среду строительства и
функционирования Параванской ГЭС»

Ахалкалаки 26.10.2009

	ФИО	Организация, должность	Контактная информация
1	გურიანი ნაირე	გამგებანი	989 1562 69
2	Тороеян Витали	зам. глав. бухгалт	899301666
3	Тригорян Армен	www.aktakarakaki.ge	895302498
4	Накашурян Армен	функциональный проектировщик спец проектиров. групп	899-58-79-19.
5	Бабаян Ваган	нач. службы эков. и рабово информат.	899-97-90-93
6	Гайдарян Шами	спец. по строи- тельству	899-42-53-37
7	Канчеладзян Гурген	спец. по арх- сб. и инспект.	899 536-7-54
8	Нахатамян Арс	Гражданский форум Джавахети	898-46-13-17
9	Казанджян Нсимк	Гражданский Форум Джавахети	895-76-37-36
10	Михаил Корикиди	ГЭЭ	899-1721-89

	ФИО	Организация, должность	Контактная информация
11	Нахатакиан Разишк	специалист по вопросам дорог инфраструктуры	895 30 24 94
12	Цешвадзе Лино	специалист по закупкам	895 566 195
13	Вартавадзе Д.З.	Инженер электротехники и электромонтажных работ	899193802
14	Казарян-Ахришян	эксперт по земельным и земельным работам	899271115
15	Гинишвили Д.З.	Инженер электротехники и электромонтажных работ	895-30-24-83
16	Теплова Тетяна	специалист по вопросам обслуживания природных ресурсов	895-770-268
17	Агамаев Эмир	специалист по вопросам взаимодействия с бизнесом	895 302 480
18	Ахвленидзе Мария		893 17 28 111
19	Кесякян Сосис	специалист по закупкам	2-22-68
20	Камалишвили Арап	Уполномоченный по территории органа	899 583 765
21	Вартавадзе Д.З.	Инженер электротехники и электромонтажных работ	899 50 44 33

	ФИО	Организация, должность	Контактная информация
22	გიორგი სურგულაძე	სამსახურის უფროსი საქართველოს ენერჯეტიკის კომპანია	877 533 182
23	მარიამ კობახიძე	საქართველოს ენერჯეტიკის კომპანია	853 72 8595
24	გიორგი კობახიძე	სსს კაბი საქართველოს ენერჯეტიკის კომპანია	
25	გიორგი კობახიძე	სსს კაბი საქართველოს ენერჯეტიკის კომპანია	
26	მარიამ კობახიძე	სსს კაბი საქართველოს ენერჯეტიკის კომპანია	855 156839

დანართი 4.2.2

ინფორმაცია

შპს “ჯორჯიან ურბან ენერჯი“-მ მიერ მდ.ფარავანზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის და ექსპლუატაციის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის პერიოდში შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ

N	შენიშვნების და წინადადებების ავტორები	შენიშვნების და წინადადებების შინაარსი	პასუხი
1	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური	წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში ახალქალაქის მეტეოროლოგიური სადგურის დაკვირვებების ანალიზის საფუძველზე მოცემულია ატმოსფერული ნალექების სეზონური პროცენტული განაწილება, რომელიც არ ემთხვევა გრაფიკზე მოცემულ განაწილებას.	შენიშვნა გათვალისწინებულია
2	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური	სოფ. ფოკას სიმაღლე, საიდანაც სათავეს იღებს მდ. ფარავანი 2080 მ-ია ზღვის დონიდან და არა 1800 მ, როგორც მითითებულია ანგარიშში.	შენიშვნა გათვალისწინებულია
3	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური	გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში გათვლილია მავნე გამონაფრქვევები, მოცემულია დიფერენცირებულად გაფრქვევის წყაროების მონაცემები. გამონაფრქვევთა სრულად განსაზღვრისათვის უნდა იყოს წარმოდგენილი ინერტული მასალებისა და ბეტონის წარმოების მოწყობილობის სამშენებლო მოძრავი სპეცტექნიკისა და ავტოტრანსპორტის ტექ. მომსახურება-შეკეთების, სარეზერვო ენერჯის წყაროების სრული ტექნიკური პარამეტრები.	იმის გათვალისწინებით, რომ სამშენებლო სამუშაოები შესრულდება ტენდერის საფუძველზე შერჩეული კონტრაქტორის მიერ, ამ ეტაპზე არ არსებობს ზუსტი მონაცემები ინერტული მასალებისა და ბეტონის წარმოების მოწყობილობის სამშენებლო მოძრავი სპეცტექნიკისა და ავტოტრანსპორტის ტექნიკური მომსახურება-შეკეთების, სარეზერვო ენერჯის წყაროების სრული ტექნიკური პარამეტრების შესახებ. ეს ინფორმაცია დადგინდება კონტრაქტორის განსაზღვრის შემდეგ. ანგარიშში მოცემული ემისიების გათვლა მოხდა გარემოს დაცვის სამინისტროს მიერ მიღებული მეთოდის შესაბამისად. ემისიები შეფასდა ყველაზე უარესი სცენარის შემთხვევისთვის (ყველა მანქანა-

			მოწყობილობის ერთდროული მუშაობის პირობების შემთხვევისთვის).
5	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური	წარმოდგენილი დოკუმენტში უნდა იყოს განხილული წყალგამყოფა მშენებლობის და ფუნქციონირების სტადიაში იმ მოწყობილობების პარამეტრების მითითებით, რომლებიც მოიხმარებენ ტექნოლოგიურ წყალს.	იმის გათვალისწინებით, რომ სამშენებლო სამუშაოები შესრულდება ტენდერის საფუძველზე შერჩეული კონტრაქტორის მიერ, ამ ეტაპზე არ არსებობს ზუსტი მონაცემები იმ მოწყობილობების შესახებ, რომლებიც მოიხმარენ ტექნოლოგიურ წყალს. მოცემულია მიახლოებითი შეფასება. ექსპლუატაციის ეტაპზე ტექნოლოგიური წყლის გამოყენება არ ხდება.
6	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური	გვ.104-109-ზე სრულად უნდა იყოს წარმოდგენილი ინფორმაცია ჩამდინარე წყლების მოსალოდნელი წარმოქმნის, მშენებლობისა და ექსპლუატაციის სტადიაში.	შენიშვნა გათვალისწინებულია. ინფორმაცია მოცემულია თავში 5.6.1.2
7	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური	გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში განხილულია ჰესის მშენებლობისას სამშენებლო ბანაკის მოწყობა (საწყობი, ავტობაზა, სარემონტო სახელოსნო და საცხოვრებელი კემპები). ანგარიშში უნდა იყოს სრული ინფორმაცია ბანაკების წყალმომარაგებისა და კანალიზაციის საკითხებზე, კერძოდ: <ul style="list-style-type: none"> • სასმელ-სამეურნეო და საწარმოო დანიშნულებით გამოყენებული წყლის ხარჯები; • ჩამდინარე წყლის ჩაშვების წერტილები, რაოდენობა და ხარისხი; • ჩაშვებული ჩამდინარე წყლების გაწმენდის მეთოდები. 	შენიშვნა გათვალისწინებულია. ინფორმაცია მოცემულია თავში 5.6.1.2
8	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური	წარმოდგენილ ანგარიშში უნდა იყოს კონკრეტული ინფორმაცია სადრენაჟო სისტემების არსებობაზე, დრენაჟული წყლების შეგროვება-გაწმენდის მეთოდების შესახებ, აგრეთვე დრენაჟულ წყლებში დამაბინძურებელი ნივთიერებების	შენიშვნა გათვალისწინებულია, ინფორმაცია მოცემულია თავში 5.6.1.2

	სამსახური	შემადგენლობაზე, რაც მნიშვნელოვანია ზედაპირული წყლების (მდინარეების) დაბინძურების თავიდან აცილების თვალსაზრისით.	
9	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური	გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშში უნდა იყოს ინფორმაცია სამშენებლო მოედნიდან (ავტობაზებიდან) ჩაშვებული ჩამდინარე წყლების რაოდენობის, შემადგენლობის და გამწმენდი ნაგებობის არსებობის (ნავთობდამჭერი) შესახებ.	შენიშვნა გათვალისწინებულია ინფორმაცია მოცემულია თავში 5.6.1.2
10	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური	წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშიდან ირკვევა, რომ ტექნიკური მიზნებისათვის გამოიყენება მდ. მტკვარისა და მდ. ფარავნის წყლები, ხოლო ჩამდინარე ტექნიკური წყალი (წარმოქმნილი საბურღი სამუშაოების დროს და სხვა) დროებითი გამწმენდი ნაგებობის შემდეგ ჩაშვებული იქნება მდინარეებში. უნდა იყოს ინფორმაცია გამოყენებული წყლის ხარჯებზე, გამწმენდი ნაგებობის ტიპზე, შესაბამისად ჩაშვებული ჩამდინარე წყლის რაოდენობაზე და დამაბინძურებელი ნივთიერებების შემადგენლობაზე.	შენიშვნა გათვალისწინებულია ინფორმაცია მოცემულია თავში 5.6.1.2
11	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური	გვ. 21 პუნქტი 5.1.4-ში აღნიშნულია, რომ წყალმომღების შემდეგ წყალი შედის სალექარში, საიდანაც დაგროვილი ნატანი ჩაირეცხება მდინარეში. უნდა იყოს განხილული მდინარეში ჩაშვებული დაბინძურებული წყლის რაოდენობა და დამაბინძურებელი ნივთიერებების შემადგენლობა.	სალექარის დანიშნულებასა მდინარის ბუნებრივი ნატანის დალექვა ტურბინების დაზიანების თავიდან აცილების მიზნით. სალექარიდან ნალექის მოცილება საჭირო იქნება წელიწადში ერთხელ ან ორჯერ. სალექარის რეცხვის პროცესში იხსნება გამრეცხი ფარი და მდინარის წყლით ხდება ნალექის ჩარეცხვა. ამ პროცესისათვის საჭირო წყლის რაოდენობა პროექტის მიხედვით ნორმირებული არ არის. უხეში გაანგარიშებით წყლის რაოდენობა იქნება 400-500 მ ³ . სალექარში დაგროვილი ნალექის მავნე ნივთიერებებით დაბინძურება ნაკლებ სავარაუდოა, რადგან სათაო

			<p>ნაგებობაზე რაიმე დაბინძურების წყარო არ არსებობს. სალექარში გროვდება მხოლოდ მდინარის წყალში არსებული 0,3 მმ-ზე მეტი დიამეტრის შეწონილი ნაწილაკები. აღნიშნულის გათვალისწინებით სალექარის გარეცხვის პროცესში ადგილი ექნება მდინარის წყლის სიმღვრივის მომატებას. ზემოქმედება მოკლევადიანია და გაგრძელდება მხოლოდ 2-3 საათის განმავლობაში.</p>
12	საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს ლიცენზიებისა და ნებართვების სამსახური	<p>ყველა სახის ჩამდინარე წყლების ჩაშვების წერტილებისათვის უნდა იყოს შემუშავებული და სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენილი ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებული დამაბინძურებელი ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმები.</p>	<p>ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდჩ) ნორმების პროექტი საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროში წარდგენილი იქნება ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარსადგენ დოკუმენტაციასთან ერთად.</p>
საჯარო განხილვის დროს დასმული შეკითხვები			
1	ეკო-2007	<p>რა ზემოქმედებას მოახდენს პროექტი ფარავნის ტბაზე</p>	<p>ობიექტი შენდება ფარავნის ტბიდან 53კმ დაშორებით დინების ქვემოთ და ვერავითარ გავლენას ტბაზე ვერ მოახდენს.</p>
2	ახალქალაქის გამგებლის მოადგილე	<p>ხომ არ შეუშლის ჰესი ხელს თევზის გადაადგილებას</p>	<p>პროექტით გათვალისწინებულია თევზსატარის მოწყობა.</p>
3	ახალქალაქის გამგებლის მოადგილე	<p>ხომ არ შეუქმნის აფეთქებითი სამუშაოები რისკს მიწისქვეშა წყლებს</p>	<p>ზემოქმედებას ადგილი არ ექნება. გამოყენებული იქნება მცირემუხტიანი აფეთქება. შეკითხვის გათვალისწინებით ანგარიშში შევიდა დამატებითი ინფორმაცია ამ საკითხთან დაკავშირებით.</p>
4	ეკო-2007	<p>მდინარის ხარჯის რა პროცენტი იქნება გამოყენებული ჰესის მიერ</p>	<p>ექსპლუატაციის დროს უზრუნველყოფილი იქნება სანიტარული ხარჯის შენარჩუნება.</p>
5	სოფ.პტენას რწმუნებული	<p>თუ დასაქმდება ადგილობრივი მოსახლეობა</p>	<p>ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება გათვალისწინებულია</p>
6		<p>თუ არის გათვალისწინებული სამუშაოების დასრულების შემდეგ ტერიტორიის მდგომარეობის აღდგენა</p>	<p>სამუშაოების დასრულების შემდეგ ყველა დროებითი ნაგებობა, ნარჩენები, გამოუყენებელი მასალა და ტექნიკა გატანილი იქნება ტერიტორიიდან. ტერიტორია მოწესრიგდება.</p>
7		<p>როგორ მოხდება ელექტროენერჯის გაყიდვა.</p>	<p>ელექტროენერჯია შევა საქართველოს ენერგოსისტემაში. ჯორჯიან ურზან ენერჯის კომპეტენციაში ელექტროენერჯის მიყიდვა მოსახლეობისთვის არ შედის.</p>

დანართი 5. ფარავანჭესი - ახალციხის ეგზ კომპონენტი - საჯარო განხილვის ოქმები**შპს “ურბან ენერჯი ჯორჯია”-ს მიერ ფარავანჭესი-ახალციხის 220კვ-
იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის ბუნებრივ და
სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის სხდომის
ოქმი**

ასპინძა

18.01.2011 წელი

2011 წლის 18 იანვარს, 11 საათზე, დაბა ასპინძაში, მუნიციპალიტეტის შენობაში (თამარის ქ. №3), ჩატარდა შპს “ჯორჯიან ურბან ენერჯი”-ს ობიექტის, ფარავანჭესი - ახალციხის 220კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. (დამსწრეთა სია საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით თან ერთვის, დანართი 5.1.1).

შპს “ჯორჯიან ურბან ენერჯი”-ს გენერალურმა დირექტორმა ნოდარ კურტანიძემ მოკლედ მიმოიხილა ფარავანჭესი-ახალციხის 220კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები და მათი შესრულების ვადები. პროექტი მუშავდება თურქული კომპანიის BTE-ს მიერ, ადგილობრივი სპეციალისტების მონაწილეობით.

ხაზი დაიწყება მდინარეების ფარავნის და მტკვრის შესართავიდან 1.5 კმ დაშორებით მშენებარე ფარავნის ჰესის 220კვ-იანი პორტალიდან, ადის მდინარეების მტკვრისა და ფარავნის ხეობების გამყოფი ქედის თხემზე და მიუყვება ფარავნის ხეობის მარცხენა ფერდს მდინარის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით, კვეთს მდ. ფარავანს, ადის ფარავნის ხეობის მარჯვენა ფერდზე, სადაც გაივლის სოფლების, საროსა და ხიზაბავრას შორის და პარალელურად გაუყვება ‘ვარძია-110’ ეგზ-ს დაბა ასპინძამდე. ასპინძის შემდეგ, სოფ. აგარის ტერიტორიამდე, ტრასა გასდევს ამჟამად უმოქმედო 500 კვ-იან ეგზ-ს. აქედან ის მკვეთრად უხვევს 500 კვ-იანი ეგზ-დან მარცხნივ და სრულდება ახალციხის მშენებარე ქვესადგურის ტერიტორიაზე.

სამუშაოზე დასაქმებისას პრიორიტეტი მიენიჭება ადგილობრივ მკვიდრთ. კომპანიამ უკვე დაიწყო შესაბამისი კვალიფიკაციის ადგილობრივი სპეციალისტების ძებნა. შერჩეულ პერსონალისთვის კომპანია უზრუნველყოფს შესაბამის ტრენინგს.

ეგზ-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების ანგარიში დამუშავებულია შპს სამეცნიერო-კვლევითი ფირმა “გამა”-ს მიერ. ანგარიში მომზადდა საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით.

საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საპრეზენტაციო მასალა დამსწრეთ წარუდგინა სამეცნიერო-კვლევითი ფირმა “გამა”-ს გარემოსდაცვის სპეციალისტმა მ.სტამატელმა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამეცნიერო-კვლევითი ფირმა "გამა"-ს ექსპერტების მიერ ჩატარდა ეგზ-ს სავარაუდო ტრასის აუდიტი გარემოს არსებული მდგომარეობის, სენსიტიური რეცეპტორების, მათ შორის მცენარეული საფარის შესწავლა. ურბან ენერჯის მიერ მოწვეულ არქეოლოგთან ერთად განისაზღვრა ტრასის გაყოლებაზე არსებული არქიტექტურული ძეგლები.

ფონდური მასალის და დათვალიერების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე განისაზღვრა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების წყაროები, მოხდა ზემოქმედების თვისობრივი და, შესაძლებლობისდაგვარად, რაოდენობრივი დახასიათება, განისაზღვრა ნეგატიური ზემოქმედების თავიდან აცილების გზები და ნარჩენი ზემოქმედება შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემდეგ.

მოძიებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, საქართველოს კანონებისა და „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მოთხოვნების შესაბამისად, მომზადდა დაგეგმილი საქმიანობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის თაობაზე ინფორმაცია გამოქვეყნებული იყო ცენტრალურ (“24 საათი”) და ადგილობრივ (“სამხრეთის კარიბჭე” და “ასპინძა”) პრესაში.

პროექტის შესახებ ინფორმაციის მიღება და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის სამუშაო ვერსიის გაცნობა შესაძლებელი იყო ახალციხის და ასპინძის გამგეობის შენობებში, შპს “ჯორჯიან ურბან ენერჯი“-ს და “გამა“-ს ოფისებში თბილისში. ინფორმაცია აგრეთვე განთავსდა შპს “ჯორჯიან ურბან ენერჯი“-ს ვებგვერდზე.

დაინტერესებულ მხარეებს საშუალება ჰქონდათ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები წარმოედგინათ შპს “ჯორჯიან ურბან ენერჯი“-ს ადმინისტრაციებში და/ან სამეცნიერო-კვლევით ფირმა “გამა“-ს ოფისში.

დასკვნის სახით აღინიშნა, რომ ობიექტის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე მნიშვნელოვანი ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში ყველა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ზომების დაცვის შემთხვევაში, შესაბამისი შემარბილებელი ზომების გატარების პირობებში შესაძლებელია ნეგატიური ზემოქმედების მინიმიზაცია.

გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების მინიმიზაციისათვის მნიშვნელოვანია დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების გზშ-ის ანგარიშში მოცემული შემარბილებელი ზომების გათვალისწინებით შესრულება, რის შემდეგაც მიღწეული იქნება ობიექტის საიმედო და უსაფრთხო ექსპლუატაციის პირობები.

საჯარო განხილვის ჩატარების მომენტისთვის შენიშვნები და წინადადებები წარმოდგენილ იქნა მხოლოდ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ. შენიშვნების დიდი ნაწილი გათვალისწინებულია და შეტანილია დოკუმენტის საბოლოო, სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარსადგენ ვერსიაში.

დამსწრეთა მიერ დასმული შეკითხვები ეხებოდა დასაქმების შესაძლებლობას, მიწათსარგებლობას, საკუთრებაზე შესაძლო ზემოქმედების რისკს და ზიანის/ზარალის კომპენსაციის საკითხებს, გასხვისების ზოლში დაშვებული და აკრძალული საქმიანობის ტიპებს.

საჯარო განხილვის პერიოდში შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართში 5.1.2.

დანართი 5.1.1

ფარავანჭვისი-ახალციხე 220კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის დამსწრეთა სია

ასპინძა

18.01.2011

გვარი, სახელი	ორგანიზაცია, თანამდებობა	საკონტაქტო ინფორმაცია
1. ჭეჭუაძე ზესე	ასპინძის მუნიციპალიტეტის ქ. ბეკაყრიბი.	ბეკაყრიბი@gmail.com №: 277200461
2. ნინო ბეგია	ასპინძის მუნიციპალიტეტის ეკონომიკის სამსახურის უფროსი.	matukaxizadze@mail.ru 899.924790
3. შაველა იუსი	სოფლის მეურნეობის სამსახური	891918864
4. სანთაძე ზურა	ასპინძის მუნიციპალიტეტის ვაჭრობის სამსახური	899 16 9331
5. პაპაშვილი დიმიტრი	ასპინძის მუნიციპალიტეტის ვაჭრობის სამსახური	papashvili_d@yandex.com 891 91-89-74
6. მაკმიშვილი ვახტანგ	ასპინძის მუნიციპალიტეტის ვაჭრობის სამსახური	mazmishvili@yandex.com 899-608648
7. გიორგიშვილი ზურა	ასპინძის მუნიციპალიტეტის ვაჭრობის სამსახური	899 20-48-20
8. მანუჩარაძე ზინედი	ასპინძის მუნიციპალიტეტის ვაჭრობის სამსახური	893 45 11 66
9. ნიკოლოზი ივანიშვილი	სსიპ სოფლის მეურნეობის სამსახური	(99) 40.44.99.

დანართი 5.1.2

ინფორმაცია

შპს “ჯორჯიან ურბან ენერჯი“-ს მიერ ფარავანჰესი-ახალციხის 220კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის დროს შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ

N	შენიშვნების და წინადადებების ავტორები	შენიშვნების და წინადადებების შინაარსი	პასუხი
1	მამუკა ხიზაძე - ასპინძის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური სამსახურის უფროსი	რა მანძილი იქნება ანძებს შორის; თუ გაივლის ხერთვისზე	სულ დაიდგმება 147 ანძა, ანძებს შორის დაშორება დაახლოებით 240მ იქნება. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა გზის, მდინარეების/ხეობების და დაბალი ძაბვის ეგხ-ს გადაკვეთებს - ანძები დაიდგმება შესაბამისი უსაფრთხოების მოთხოვნების/სტანდარტების გათვალისწინებით
2	იური ზაზაძე - სოფელ ხერთვისის რწმუნებული	როგორ გადაწყდება გზების საკითხი	დაგეგმილია გზების მოწესრიგება რაც გაუადვილებს მოსახლეობას გადაადგილებას.
3	მიხეილ მაისურაძე - ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკური და ინფრასტრუქტურის სამსახური	ადგილობრივი დისტრიბუციის საკითხის გაუმჯობესება თუ იქნება მოსალოდნელი	ელექტროგადამცემის და დისტრიბუციის საკითხების ერთობლივად მოგვარებაა სასურველი. ამისთვის საჭირო იქნება მოლაპარაკება ენერგოდისტრიბუციის კომპანიასთან.
4	ბესიკ ბექაური - ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებელი	რა არის დაშვებული და რა აკრძალული გასხვისების ზოლის ფარგლებში	გასხვისების ზოლში აკრძალულია ასაფეთქებელი და აალებადი მასალების შენახვა, მანქანების სადგომის და ბენზინგასამართი სადგურების მოწყობა; აკრძალულია გაფრქვევით ირიგაციის გამოყენება, თუ წყლის ჭავლი კაბელს აღწევს. გასხვისების ზოლში უნდა ხდებოდეს მცენარეული საფარის სიმაღლის კონტროლი. დაშვებულია სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა, მებოსტნეობა.
5	იური ზაზაძე - სოფელ ხერთვისის რწმუნებული	დასაქმების საკითხი როგორ იქნება გადაწყვეტილი	ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი - თურქები; დანარჩენი - ადგილობრივი. ამ ეტაპზე მუშახელის ძირითადი რაოდენობა ჰესის წყალამღების ტერიტორიაზე მუშაობს. ამ უბანზე მუშაობა 3-4 წელი გაგრძელდება, შემდეგ ძირითადი დატვირთვა ხერთვისის უბანზე გადმოვა. სასურველია შედგეს დასაქმების მსურველთა სია კვალიფიკაციის მითითებით. კვალიფიციური მუშა ხელი , მაგ.შემდუღებლები სამსახურში აყვანამდე შესარჩევ ტესტირებას გაივლიან. ხაზის მშენებლობისას სამუშაო ადგილების

			რაოდენობა ნაკლებია. რაც შეეხება ჰესის და ხაზის ექსპლუატაციას, აქაც პრიორიტეტი ადგილობრივებს მიენიჭებათ. უკვე 'ნაპოვნია' სამცხე-ჯავახეთის მკვიდრი რამდენიმე სტუდენტი, რომლებიც სათანადო კვალიფიკაციის მიღების შემდეგ ობიექტზე დასაქმდებიან.
6	ბესიკ ბექაური - ასპინძის მუნიციპალიტეტის გამგებელი	როგორ გადაწყდება მოსავლის/მიწის დაკარგვის კომპენსაციის საკითხი	საკითხის გადაწყვეტა მოხდება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. განისაზღვრება მიწის მესაკუთრე და შესაძლო ზიანი/ზარალის ოდენობა. შეფასდება საჭირო კომპენსაციის მოცულობა. მოხდება მოლაპარაკება მესაკუთრესთან.
7	იური ზაზაძე - სოფელ ხერთვისის რწმუნებული	რა ღონისძიებები იქნება განსაზღვრული ადგილობრივი მოსახლეობის დასახმარებლად. 1) თუ შეეხება გზების გაუმჯობესება/ დახმარება ხერთვისის მოსახლეობასაც. 2) ტერასების სარწყავი წყლის საკითხი თუ იქნება მოგვარებული	ჰესის მშენებლობის პარალელურად ნავარაუდევია წყალმომარაგება-კანალიზაციის მოწყობა. დაიდგმება გამწმენდი ნაგებობა, რომელიც მოემსახურება ობიექტს და მოსახლეობას. დადგინდება ირიგაციისთვის წყლის მიწოდების საკითხი. შესაძლებელი იქნება გამონამუშევარი წყლის მოსახლეობის მიერ გამოყენების საკითხი.
8	მამუკა ხიზაძე - ასპინძის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური სამსახურის უფროსი	როგორ მოგვარდება ნარჩენების საკითხი - სტანდარტების შესაბამისი ნაგავსაყრელი რაიონში არ არსებობს.	ეგ მშენებლობის პროცესში სამშენებლო ნარჩენების დიდი რაოდენობის წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის. საყოფაცხოვრებო ნარჩენებს რაც შეეხება, ეგ-ს მშენებლობაზე დასაქმებული პერსონალის რაოდენობის გათვალისწინებით ნარჩენების მოცულობა დიდი არ იქნება. სტანდარტების შესაბამისი ნაგავსაყრელების არარსებობის პრობლემა თითქმის მთელ საქართველოში არსებობს. ამ საკითხის მოგვარებამდე, ნარჩენების გატანა მოხდება არსებულ ადგილობრივ სანაყაროზე.

**ფარავანჭესი-ახალციხის 220კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და
ექსპლუატაციის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში
საჯარო განხილვის სხდომის ოქმი**

ახალციხე

18.01.2011 წელი

2011 წლის 18 იანვარს, 13 საათზე, დაბა ახალციხეში, მუნიციპალიტეტის შენობაში (კოსტავას 18), ჩატარდა შპს “ჯორჯიან ურბან ენერჯი“-ს ობიექტის, ფარავანჭესი - ახალციხის 220კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვა. (დამსწრეთა სია საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით თან ერთვის, დანართი 5.2.1).

შპს “ჯორჯიან ურბან ენერჯი“-ს გენერალურმა დირექტორმა ნოდარ კურტანიძემ მოკლედ მიმოიხილა ფარავანჭესი-ახალციხის 220კვ ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის პროექტის ფარგლებში შესასრულებელი სამუშაოები და მათი შესრულების ვადები. პროექტი მუშავდება თურქული კომპანიის BTE-ს მიერ, ადგილობრივი სპეციალისტების მონაწილეობით.

ხაზი დაიწყება მდინარეების ფარავნის და მტკვრის შესართავიდან 1.5 კმ დაშორებით მშენებარე ფარავნის ჰესის 220კვ-იანი პორტალიდან, ადის მდინარეების მტკვრისა და ფარავნის ხეობების გამყოფი ქედის თხემზე და მიუყვება ფარავნის ხეობის მარცხენა ფერდს მდინარის დინების საწინააღმდეგო მიმართულებით, კვეთს მდ. ფარავანს, ადის ფარავნის ხეობის მარჯვენა ფერდზე, სადაც გაივლის სოფლების, საროსა და ხიზაბავრას შორის და პარალელურად გაუყვება ‘ვარძია-110’ ეგხ-ს დაბა ასპინძამდე. ასპინძის შემდეგ, სოფ. აგარის ტერიტორიამდე, ტრასა გასდევს ამჟამად უმოქმედო 500 კვ-იან ეგხ-ს. აქედან ის მკვეთრად უხვევს 500 კვ-იანი ეგხ-დან მარცხნივ და სრულდება ახალციხის მშენებარე ქვესადგურის ტერიტორიაზე.

სამუშაოზე დასაქმებისას პრიორიტეტი მიენიჭება ადგილობრივ მკვიდრთ. კომპანიამ უკვე დაიწყო შესაბამისი კვალიფიკაციის ადგილობრივი სპეციალისტების ძებნა. შერჩეულ პერსონალისთვის კომპანია უზრუნველყოფს შესაბამის ტრენინგს.

ეგხ-ს მშენებლობის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების ანგარიში დამუშავებულია შპს სამეცნიერო-კვლევითი ფირმა “გამა“-ს მიერ. ანგარიში მომზადდა საქართველოს კანონმდებლობის და საერთაშორისო მოთხოვნების გათვალისწინებით.

საწარმოს მოწყობის და ექსპლუატაციის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საპრეზენტაციო მასალა დამსწრეთ წარუდგინა სამეცნიერო-კვლევითი ფირმა “გამა“-ს გარემოსდაცვის სპეციალისტმა მ.სტამატელმა. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამეცნიერო-კვლევითი ფირმა "გამა"-ს ექსპერტების მიერ ჩატარდა ეგხ-ს სავარაუდო ტრასის აუდიტი გარემოს არსებული მდგომარეობის, სენსიტიური რეცეპტორების, მათ შორის მცენარეული საფარის შესწავლა. ურბან ენერჯის მიერ მოწვეულ არქეოლოგთან ერთად განისაზღვრა ტრასის გაყოლებაზე არსებული არქიტექტურული ძეგლები.

ფონდური მასალის და დათვალიერების შედეგად მიღებული ინფორმაციის საფუძველზე განისაზღვრა ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე მოსალოდნელი ზემოქმედების წყაროები, მოხდა ზემოქმედების თვისობრივი და,

შესაძლებლობისდაგვარად, რაოდენობრივი დახასიათება, განისაზღვრა ნეგატიური ზემოქმედების თავიდან აცილების გზები და ნარჩენი ზემოქმედება შემარბილებელი ღონისძიებების გატარების შემდეგ.

მოძიებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, საქართველოს კანონებისა და „გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ“ დებულების მოთხოვნების შესაბამისად, მომზადდა დაგეგმილი საქმიანობის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში.

ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის თაობაზე ინფორმაცია გამოქვეყნებული იყო ცენტრალურ (“24 საათი”) და ადგილობრივ (“სამხრეთის კარიბჭე” და “ასპინძა”) პრესაში.

პროექტის შესახებ ინფორმაციის მიღება და ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის სამუშაო ვერსიის გაცნობა შესაძლებელი იყო ახალციხის და ასპინძის გამგეობის შენობებში, შპს “ჯორჯიან ურბან ენერჯი“-ს და “გამა“-ს ოფისებში თბილისში. ინფორმაცია აგრეთვე განთავსდა შპს “ჯორჯიან ურბან ენერჯი“-ს ვებგვერდზე.

დაინტერესებულ მხარეებს საშუალება ჰქონდათ თავიანთი შენიშვნები და წინადადებები წარმოედგინათ შპს “ჯორჯიან ურბან ენერჯი“-ს ადმინისტრაციებში და/ან სამეცნიერო-კვლევით ფირმა “გამა“-ს ოფისში.

დასკვნის სახით აღინიშნა, რომ ობიექტის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე მნიშვნელოვანი ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. მშენებლობის და ექსპლუატაციის პროცესში ყველა გარემოსდაცვითი და უსაფრთხოების ზომების დაცვის შემთხვევაში, შესაბამისი შემარბილებელი ზომების გატარების პირობებში შესაძლებელია ნეგატიური ზემოქმედების მინიმიზაცია.

გარემოზე ნეგატიური ზემოქმედების მინიმიზაციისათვის მნიშვნელოვანია დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების გზშ-ის ანგარიშში მოცემული შემარბილებელი ზომების გათვალისწინებით შესრულება, რის შემდეგაც მიღწეული იქნება ობიექტის საიმედო და უსაფრთხო ექსპლუატაციის პირობები.

საჯარო განხილვის ჩატარების მომენტისთვის შენიშვნები და წინადადებები წარმოდგენილ იქნა მხოლოდ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს მიერ. შენიშვნების დიდი ნაწილი გათვალისწინებულია და შეტანილია დოკუმენტის საბოლოო, სახელმწიფო ეკოლოგიურ ექსპერტიზაზე წარსადგენ ვერსიაში.

დამსწრეთა მიერ დასმული შეკითხვები ეხებოდა დასაქმების შესაძლებლობას, მიწათსარგებლობას, საკუთრებაზე შესაძლო ზემოქმედების რისკს და ზიანის/ზარალის კომპენსაციის საკითხებს, გასხვისების ზოლში დაშვებული და აკრძალული საქმიანობის ტიპებს.

საჯარო განხილვის პერიოდში შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია დანართში 5.2.2.

დანართი 5.2.1

ფარავანჭვისი-ახალიხე 220კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის დამსწრეთა სია

ახალიხე

18.01.2011

გვარი, სახელი	ორგანიზაცია, თანამდებობა	საკონტაქტო ინფორმაცია
ჭინიუაშვილი ზურაბ	ახალიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუშაობის მეთვალყურე	891-91-88-08.
ვახაშვილი სურგულეძე	ახალიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუშაობის მეთვალყურე	891 91 88 22.
გოძისკისძე	გზების რეკონსტრუქციის სამსახური	895 35 66 03
ქადაგიანი ზორბეგ	პარამუნის რაიონის სოფლის მეურნეობის სამსახური	895 58 04 32.
ფაჩიშვილი ხატია	ახალიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუშაობის მეთვალყურე	899180804 879450804
ნოზაძე ვახტანგ	ახალიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის მუშაობის მეთვალყურე	(97) 48 44 99.

დანართი 5.2.2

ინფორმაცია

შპს “ურბან ენერჯი ჯორჯია”-ს მიერ ფარავანწყისი-ახალციხის 220კვ-იანი ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობის და ექსპლუატაციის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის საჯარო განხილვის დროს შემოსული შენიშვნებისა და წინადადებების შესახებ

N	შენიშვნების და წინადადებების ავტორები	შენიშვნების და წინადადებების შინაარსი	პასუხი
1	ზ.ჯინიუზაშვილი - ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე	ელექტრული ველის ზემოქმედება მოსახლეობაზე.	მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული უსაფრთხოების ზომები. დაცული იქნება დასახლებული უბნებიდან, რკინიგზიდან, სამანქანო გზიდან დაცილება. მოხდება მაგნიტური ველის გაზომვა. შემუშავებულია შესაძლო ზემოქმედების შემცირების/შერბილების გზები.
2	ზ.ჯინიუზაშვილი - ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე	მცენარეული საფარის - ტყის გაჩეხვა თუ მოხდება.	ხაზის უმეტესი ნაწილი გადის ტერიტორიაზე, სადაც ჭარბობს ბალახოვანი საფარი და ბუჩქნარი. მხოლოდ ერთ უბანზე იკვეთება გატყიანებული უბანი. მცენარეების მასიური გაჩეხვა ნავარაუდები არ არის. საჭიროების შემთხვევაში მოხდება კომპენსაცია.
3	ზ.ჯინიუზაშვილი - ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე	ხაზის გაყვანის შემდეგ სახნავ-სათესი მიწები თუ შეიძლება იყოს ძველი დანიშნულებით გამოყენებული.	ხაზი კვეთს სასოფლო-სამეურნეო და საკარმიდამო ნაკვეთების რიგს. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მოხდება დაკარგული მოსავლის ან დაზიანებული საკუთრების კომპენსაცია.
4	რ.კარაპეტიაძე - ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე	ხომ არ მოახდენს მძიმე ტექნიკის მოძრაობა, განსაკუთრებით დასახლებული პუნქტების შიდა გზებზე, საკუთრების დაზიანებას. და რა არის გათვალისწინებული ამ შემთხვევაში.	მუშაობისას გათვალისწინებული იქნება უსაფრთხოების ყველა ზომა საკუთრების დაზიანების თავიდან ასაცილებლად. დადასტურებული დაზიანების შემთხვევაში განისაზღვრება კომპენსაცია.
5	ზ.ჯინიუზაშვილი - ახალციხის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე	ხომ არ მოხდება რაიმე ზემოქმედება არქიტექტურულ ძეგლებზე.	დადგენილია ხაზის გასწვრივ არსებული არქიტექტურული ძეგლები, თუმცა ისინი დაცილებულია ეგზ-სგან. ჩატარდა არქეოლოგიური დათვალიერება. საკითხი შეთანხმებულია კულტურის სამინისტროსთან და ძეგლთა დაცვის სააგენტოსთან. სამშენებლო სამუშაოების დროს ანძების განთავსების ადგილები შეირჩევა სენსიტიური რეცეპტორების

			ადგილმდებარეობის გათვალისწინებით.
6	დ.ჩაჩანიძე - წამყვანი სპეციალისტი მშენებლობასა და სივრცითი მოწყობის საკითხებში	სამუშაოების დაწყების სავარაუდო დრო.	სამშენებლო სამუშაოები სავარაუდოდ შემოდგომაზე დაიწყება.

დანართი 6. საინფორმაციო ფურცელი - უსაფრთხოება გადამცემი ხაზის მახლობლად

უსაფრთხოება

ხის ჭრა და ხე მასალის შენახვა გადამცემი ხაზის (ეგბ) მახლობლად

- ეგბ-ს მახლობლად ხე არ უნდა მოიჭრას ისე, რომ დაეცეს გადამცემ ხაზის მიმართულებით.
- ყოველთვის დაიცავით ვარდნის სწორი მიმართულება უსაფრთხოების ინსტრუქციის შესაბამისად.

თუ ხე იწყებს ვარდნას ეგბ-ს მიმართულებით:

- დაუყოვნებლივ შეწყვიტეთ მუშაობა.
- გადახტით ისე, რომ ორივე ფეხი არ ეხებოდეს მიწას ერთდროულად. რაც შეიძლება სწრაფად მოცილდით ხეს არანაკლებ 20მ-ით.
- თუ ხე დაეცა მავთულს და გაიხლართა, მაშინვე გამოიძახეთ დახმარების სამსახური
- არ მიუშვათ არავინ სადენებში გახლართულ ხესთან ახლოს.



ნუ შეეცდებით 'გაანთავისუფლოთ' ხე, რომელიც ეხება ფაზის გამტარს მანამ:

- სანამ არ მოდება ძაბვის გათიშვა და დამიწება და ეგბ-ს მფლობელის მიერ არ იქნება ნებადართული ხესთან შეხება.
- უსაფრთხოების მიზნით ხე მასალა/შეშა არ უნდა ინახებოდეს ეგბ-ს ქვეშ ან ფაზის უახლოესი გამტარიდან 10მ მანძილზე უფრო ახლოს.
- ეგბ-ს ახლოს მდებარე ხე მხოლოდ პროფესიონალმა შეიძლება მოჭრას.

ღია ცეცხლი და აფეთქებითი სამუშაოები

- აკრძალულია ცეცხლის დანთება გადამცემი ხაზის ქვეშ ან მის უშუალო სიახლოვეს.
- ბალახის დაწვა შეიძლება არანაკლებ 50მ მანძილზე.

მანქანების გამოყენება

- სასოფლო სამეურნეო მანქანების გამოყენებისას ანძების მახლობლად სიფრთხილეა საჭირო.
- ექსკავატორები, ამწეები და სხვა აღჭურვილობა არ უნდა მოძრაობდეს ძაბვის ქვეშ მყოფი კაბელებთან ძალიან ახლოს.
- მანქანები არ უნდა იმყოფებოდნენ ანძის ტერიტორიაზე.

- ნურასოდეს ნუ გაატარებთ მანქანას ანძიდან 5მ-ზე ახლოს.



ძაბვა	მინიმალური მანძილი მანქანამდე ან სადენამდე	მინიმალური მანძილი მანქანასა და ფაზის სადენს შორის ჰორიზონტალური მიმართულებით
110 კვ	3 მ	5 მ
220 კვ	4 მ	5 მ
400 კვ	5 მ	5 მ

თუ მანქანა შეეხო გამტარებს:

შეეცადეთ არ მიიყვანოთ მანქანა ეგბ-თან ახლოს.

- თუ მანქანას ცეცხლი გაუჩნდა ან საბურავებმა ბოლვა დაიწყო გადმოხტით მანქანიდან ისე, რომ ორივე ფეხი ერთდროულად დაადგათ მიწაზე.
- ნუ შეეხებით მანქანას და მიწას ერთდროულად.
- გადახტით ისე, რომ ორივე ფეხი ერთდროულად არ შეეხოს მიწას და, რაც შეიძლება მალე, მოცილდით მანქანას არანაკლებ 20მ მანძილზე.
- ნურავის ნუ შეუშვებთ ტერიტორიაზე.

ლითონის ღობეები

პრობლემა: თუ ღობე დიდ მანძილზე გადის გადამცემი ხაზის პარალელურად ან არ არის იზოლირებული მიწიდან მასში შეიძლება წარმოქმნას ძაბვა.

გამოსავალი: ღობე უნდა დამიწდეს.



საწვავით გამართვა

მანქანის ან სხვა ტექნიკის საწვავით გამართვა ეგბ-დან 20მ-ით ნაკლებით მოცილებულ ტერიტორიაზე დაუშვებელია.



ლითონის სახურავები

პრობლემა: გადამცემი ხაზის ელექტრულმა ველმა შეიძლება გამოეწვიოს ინდუცირებული ძაბვის წარმოქმნა. ეს სახიანო არ არის. თუმცა უსიამოვნოა.

გამოსავალი: პრობლემა შეიძლება მოიხსნას სახურავის დამიწებით, მაგალითად წყალსაწრეტი მილების საშუალებით.

გამფრქვევი ირიგაცია

- ირიგაციის სისტემების გამოყენება ხაზის მახლობლად დასაშვებია თუ ჭავლი არ ხვდება ხაზს.
- საირიგაციო სისტემების აწყობის, გადაადგილების ან დაშლისას დარწმუნდით, რომ საირიგაციო აღჭურვილობა არ უახლოვდება ხაზის გამტარს ძალის ახლოს.



ანძებზე ასვლა

ძალიან სახიფათოა და ყოველად დაუშვებელია ანძებზე ასვლა. აკრძალულია ანძებზე რაიმეს დამაგრება.

მიწის ამოღება და გატანა, თხრილების გაყვანა

- ანძის ტერიტორიაზე თხრილების გაყვანა აკრძალულია.
- თხრილის კედელი არ უნდა იყოს ანძასთან 3მ უფრო ახლოს.
- თუ მოსაწყობი თხრილის სიღრმე ნახევარ მეტრზე მეტია, მხედველობაში უნდა იყოს მიღებული მიწისქვეშა დამიწების ელექტროდები.

თუ ფაზის გამტარი გაწყვეტილია ან ჩაკიდებული მიწასთან ახლოს - ეს ძალიან საშიშია.

ელვა და ჭექა-ქუხილი

- რადგან ანძები დამიწებულია და ჩვეულებრივ უფრო მაღალია ვიდრე მათ ირგვლივ არსებული გარემო/ნაგებობები, ანძები 'იზიდავენ' ელვას.
- ხაზი ისეა აგებული, რომ ელვა 'მიწის' გამტარით უსაფრთხოდ გადადის მიწაში.
- სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ჭექა-ქუხილის დროს გადამცემი ხაზის უშუალო სიახლოვეს ყოფნა სასურველი არ არის.



გადამცემი ხაზის მახლობლად დაშვებული საქმიანობა

სასოფლო-სამეურნეო საქმიანობა

- გასხვისების ზოლის ფარგლებში დასაშვებია ბოსტნის გაშენება
- ბუჩქების დარგვისას გადამცემი ხაზის ცენტრში უნდა დარჩეს გზა ხაზის ინსპექტორების და ტექნომოსახურებს ჯგუფების სამომხრად.
- გასხვისების ზოლში შესაძლებელია ხეხილის ხეები გაშენება, თუ მათი სიმაღლე დაშვებულს არ აჭარბებს.

ნაგებობები

ელექტროგადამცემი ხაზის გასხვისების ზოლში აკრძალულია შენობების აგება.

საქონლის მოვება და ჯანმრთელობა

გადამცემი ხაზის ტერიტორიაზე საქონლის მოვება დასაშვებია.